სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 ივნისი 2004 №124 (2143) ფასი 50 თეთრი

სტადიონზე ქალსაც შრტჟამენ

რატომ გაიქცა ტრიბუნისკენ გიორგი ადამია, რომელიც დღეს უნდა განისაჯოს



გადარი ჯეიილაძის ფოტოები

ფედერაციამ იმ ავადსახსენებელი „ოქროს მატჩისას“ დატრიალებული ამბებისთვის ბოლნისის „სიონი“ უკვე დასაჯა, თანაც არნახულად. ახლა ჯერი სხვებზეა — უფრო „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებზე, რევაზ გოცირიძესა და გიორგი ადამიაზე. მათ ბოლნისელი გულშემატკივრების პროვოცირება ედებათ ბრალად. ანუ, ფედერაცია როგორც ჭეშმარიტად სამართლიანი განმსჯელი, ისე იქცევა.

ქვემოთ გიორგი ადამიას საქციელზე ვთქვათ, რაკი მისი ერთგვაროვანი შეფასება შეუძლებელია და მხოლოდ კანონის მოშველიება არ გამოდგება.

გოცირიძემ გოლი გაიტანა და დასავლეთ ტრიბუნისკენ გაიქცა. იქ მსხდომთა უმრავლესობა ბოლნისელი იყო, რომლებმაც გოცირიძე გინებით აიკლეს, რის გამოც ვიტჯორჯიელმა მათ უხამსი ჟესტი ანახა. ამან ბოლნისელები უფრო გაახელა. მცირე ხანში კი გიორგი ადამიაც იმავე ტრიბუნისკენ გაიქცა და ძლივს გააკავეს. ადამიას ტრიბუნისკენ გაქცევამ ბოლნისელები მთლად გადარია და ტრიბუნაზე ჯგუფური ჩხუბიც დაიწყო.

ეს არის ამბავი, რომელიც შეუიარაღებელი თვალით გამოჩნდა და მხოლოდ ამ მონათხრობის საფუძველზე გიორგი ადამია დასასჯელია.

ახლა კი მონათხრობს სრული სახე მივცეთ. ტრიბუნაზე, ბოლნისელების სიახლოვეს ადამიას დედა და ფეხმძიმე ცოლი ისხდნენ, ვიღაც არაკაცმა კი ადამიას დედაზე ხელი აღმართა. აი, ამის მერე გაიქცა ფეხბურთელი ტრიბუნისკენ.

ვფიქრობთ, რომ ამბის სრულად მოყოლის მერე ადამიას დასჯის მომთხოვნთა რაოდენობა შემცირდა.

ჩვენ კი ისევ ვიკითხოთ: აპირებს თუ არა ფედერაცია ინციდენტში დამნაშავე ყველა ორგანიზაციის თუ პირის დასახელებას და მათთვის პასუხის მოთხოვნას? თორემ გამოდის, რომ ფედერაცია სჯის მხოლოდ გულშემატკივარს, ფეხბურთელს და კლუბს, სხვებს კი ხელს აფარებს.

და ერთხელაც ვთქვათ, უფრო სწორად, ადამიას დედაზე ხელის ამწევს მივმართოთ: კაცი კი არა, არაკაცი ხარ!

ამასაც მოვესწარით: სტადიონზე ქალსაც ურტყამენ!

და სად არის პოლიცია, რომლის დანაშაულებრივ უნიათობაზე არც ერთ ოფიციალურ პირს არაფერი უთქვამს?!

გიორგი გახოკიძე: ჰოლანდია მორჩა, ისევ რუსეთი





JENNIFER.RU

როლან გაროსის წითელ თიხაზე ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდიოდა, ყოველ შემთხვევაში, ქალებში მაინც. მეოთხედფინალში კი დიდი ცოდვა-მადლი დატრიალდა. აიღო ჯენიფერ კაპრიატიმ და ეს ჩვენი დევიზით შავდა სერენა უილიამსი უცერემონიოდ გამოაგდო. ჩოგანმა და საკუთარმა თავმა უმტყუნა სხვა მთავარ ფავორიტებსაც, სერენას უფროს და ვინუსს და ვითომცდა მასსავით ყოვლისშემძლე ფორმაში მყოფ ფრანგ დედათმავალ ამელი მორესმოს. ორივეს დიდებში მოტრიალე, მაგრამ სულ ზევით აქამდე ვერ შეტოტებულმა რუსებმა, ანასტასია მისკინამ და ელენა დემენტიევამ მოუსპეს სლემტიტულისა და მისი მომყოლი დოვლათის ხელში ჩაგდების შანსი.

საწყენი წიხლებისმატჩი

გიორგი ადამია: დედაჩემს ხელი სახეში ჩაარტყეს

„ოქროს მატჩში“ მომხდარი ექსცესების შედეგად მეორეადგილოსანი ბოლნისის „სიონი“ უეფას თასზე ვერ ითამაშებს და მომდევნო ეროვნული ჩემპიონატის პირველ ათ საშინაო მატჩს ბოლნისში ვერ გამართავს. სანქციები ელით „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებსაც, რომლებიც ბოლნისელ გულშემატკივრებს მათთან მიახლოვებითა და ჟესტებით გაეპასუხნენ. ასე დაემართა ვიტჯორჯიელთა შემტევ გიორგი ადამიას, თუმც მისი გახელების მიზეზი სულ სხვა იყო...

ბაბილ კვიტაიშვილის ფოტოები

რა ადარდებდა თურმე გიორგი ადამიას: ხედავდა, რა დღეში ჩააგდეს ტრიბუნაზე დედამისი და ფეხმძიმე მეუღლე

— ნერვები უნდა მომეთოკა — პროფესიონალ ფეხბურთელს ეს უნდა შეეძლოს. მინდვრის მიღმა რა ხდება, ეს უკვე ფეხბურთელის საქმე არაა, მაგრამ ისეთი რაღაც მოხდა, რომ თავის შეკავება ძალიან ძნელი იყო.

— მაინც რა მოხდა ისეთი, ფეხბურთელებისთვის ხომ არაერთხელ უგინებიათ ვაიგულშემატკივრებს?

— რა თქმა უნდა, გინება პირველი შემთხვევა არ იყო და ყოველთვის ვცდილობ, ამას ყურადღება არ მივაქციო, მაგრამ იმ ტრიბუნაზე, სადაც ჩხუბი ატყდა, დედაჩემი და ჩემი ფეხმძიმე მეუღლე იყვნენ. მერაბ კოჭლაშვილი მაწყნარებდა და მეც მეგონა, რომ პოლიცია ექსცესებს აღკვეთდა, მაგრამ ასე არ მოხდა და როცა დედაჩემს ხელი სახეში დაარტყეს, ნერვები ვეღარ მოვთოკე — ძალიან ძნელია, როცა ასეთ რამეს უყურებ.

— როგორ ფიქრობ, მაინც რატომ მოხდა ასეთი ინციდენტები „ოქროს მატჩში“?

— არ ვიცი, ასეთი საშინელება თუ მოხდებოდა, ნამდვილად არ მეგონა.

— ბოლნისელების აზრით, ყველაფერი რევაზ გოცირიძის ჟესტმა გამოიწვია...

— გოცირიძის მხრიდან ეს მართლაც დაუფიქრებელი საქციელი იყო, მაგრამ არა ისეთი, რომ ამას ასეთი მძიმე გაგრძელება მოჰყოლოდა.

— ყველაფერი კი „ვიტ ჯორჯიას“ ჩემპიონობით დამთავრდა.

— „ოქროს მატჩში“ ბევრი ცუდი მოხდა, მაგრამ ჩემპიონობით გამოწვეულმა სიხარულმა ყველაფერი გადასწონა. თუმც შეიძლებოდა, ყველაფერი ლამაზად დამთავრებულიყო — ჩემპიონობა ბოლომდე მაინც ვერ შეგვერგო.

— „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა?

— ამ მომენტისთვის უკვე შეცვლილი ვიყავი, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და ყველაფერს კარგად ვხედავდი — ვლადიმერ გოჩაშვილი თამაშგარეში არ ყოფილა, ნაღდი გოლი იყო. ისე, მეორე ტაიმის დასაწყისში „სიონმა“ კარგად შემოგვიტია, მაგრამ ჩვენ კონტრშეტევაზე ავაგეთ თამაში. და ამან გაამართლა კიდეც. ისიც უნდა ვთქვა, რომ დავით მამარდაშვილმა იური გაბისკირიას ძალიან მაგარი ჯარიმა აუღო.

— პირველი გოლი კი გოცირიძემ შენი პასით გაიტანა...

— როცა დათუნაიშვილი აუტს აწოდებდა, მოედანზე თავისუფალი ადგილი ვნახე და იქით გავიქეცი, ბურთი მივიღე და მეტოქის საჯარიმოსკენ არც გამიხედავს, ისე ჩავაწოდე — ვიცოდი, რომ გოცირიძე იმ ადგილას იქნებოდა. მე და რეზო ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ერთმანეთს თვალდახუჭულადაც ვუგებთ.

— ყველაზე უფრო რა მოგეწონა მეთხუთმეტე ჩემპიონატში?

— „თბილისი“ — ეს გუნდი გაჭირვებით მოხვდა ზეექვსეულში და ალბათ ყველასთვის მოულოდნელი იყო ამ გუნდის ასეთი ლამაზი თამაში.

— „ვიტ ჯორჯიას“ ახლა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ელის — რა შანსი აქვს გუნდს ევროტურნირებზე?

— ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ ქართული ფეხბურთი არ შევარცხვინოთ — ვეცდებით, პირველი ორი საკვალიფიკაციო ეტაპი გადავლახოთ.

— გასაგებია, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“, ფაქტობრივად, თავისი ქომაგი არ ჰყავს, თქვენს მხარდასაჭერად ძირითადად ოჯახის წევრები, მეგობრები და ნათესავები მოდიან, თბილისური გუნდებიდანაც მხოლოდ „დინამოს“ ჰყავს ფანკლუბი...

— სავსებით შესაძლებელია, რომ ფანკლუბი „ვიტ ჯორჯიამაც“ ჩამოაყალიბოს, ეს ძალიან გვჭირდება, გულშემატკივარი ჩვენთვის ყველაზე დიდი სტიმულია.

დავით თავართქილაძე

ათი თვალი უკეთ ხედავს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ ოქროს მატჩისას მომხდარისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე იმ სპეციალური კომისიის შექმნაზეც ისაუბრა, ფეხბურთელთა საქციელს რომ შეისწავლის.

შეგახსენებთ, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, უწესრიგობის მიზეზი ფეხბურთელთა პროვოკაციული საქციელიც იყო. ფედერაციის მიერ შედგენილ კომისიაში შევიდნენ ზვიად დარასელი, რევაზ შენგელია, ბადრი ქარქაშაძე, ნოდარ კაკულია და რევაზ ლორთქიფანიძე.

კომისია საბოლოო დასკვნებს ფედერაციაში დღეს წარადგენს. მანამდე კომისიის წევრებმა ის ვიდეომასალა ნახეს, რომელიც კლუბების ვიდეოოპერატორებმა გადაიღეს და ისიც, რაც პირველი არხის ეთერში გავიდა.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთეულის პატაკზე იქნება დამოკიდებული ვიტჯორჯიელი და სიონელი ფეხბურთელების ბედი.

დავით ერაძე

მერამდენედ?

ქალთა ფეხბურთი ისევ ფეხს იდგამს

ბევრმა თქვენგანმა ალბათ არც იცის, რომ საქართველოში ქალთა ფეხბურთის ლიგა არსებობს, არსებობს და 29 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ქალთა ფეხბურთის ლიგის დამფუძნებელთა და დელეგატთა ყრილობაც ჩატარდა. ყრილობას ლიგის პრეზიდენტი მაია წულუკიძე და აღმასრულებელი დირექტორი ხვიჩა ჯამელაშვილი უძღვებოდნენ. სტუმართა შორის იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძეც.

ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც, სავარაუდოდ, 5 ივნისს დაიწყება საქართველოს რეგიონული ჩემპიონატები ქალთა შორის. ჩემპიონატში სულ 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

აქვე გეტყვით, რომ რეგლამენტის მიხედვით, ჩემპიონატი ოთხ რეგიონში გაიმართება და გამარჯვებული გუნდები ფინალურ ეტაპზე ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. ქალთა ფეხბურთის ლიგა იმასაც გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში სხვა საინტერესო გეგმები თუ პროექტებიც განხორციელდება. ერთი სიტყვით, ჰა ბურთი და ჰა მოედანი, გოგონებო.

კახა შალამბერიძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ბლოხინს ასიანში უმიზნებენ



უკრაინა

უკრაინის ნაკრების თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა იმ 20 ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა, რომლებიც 5 ივნისს საფრანგეთს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. მატჩი „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება და მასპინძლებიც ევროპის ჩემპიონატისწინა გენერალურ რეპეტიციას გეგმავენ. თავის მხრივ, თამაში მთლად უმნიშვნელო არც უკრაინელებისთვისაა. მომავალი მსოფლიოშესარჩევში ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე 5 ივნისს საიუბილეო, მეასე მატჩს ჩაატარებს.

ყველაზე დიდ გასაჭირში კი თავად ბლოხინია, ვინც ნაკრებს უკვე თითქმის ნახევარი წელია წვრთნის და ჯერ მოგება არ უგემია, რაც, ცხადია, საფრანგეთთან მატჩშიც ძალიან გაუჭირდება. ბლოხინის რჩეულთა შორის რვა დნიპროელი, ხუთი დინამოელი და სამი შახტარელია. ოცეულში მოხვდა ორი ლეგიონერიც — მილანელი ანდრეი შევჩენკო და ფენერბაჰჩელი სერგეი რებროვი.

კახა შალამბერიძე

მეკარეები: ვიტალი რევა, ალექსანდრ შოკოვსკი (ორივე დინამო);

მცველები: ვლადიმირ ეზერსკი, ალექსანდრ რადჩენკო, ანდრეი რუსოლი (ყველა დნიპრო), ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ორივე დინამო), მიხაილ სტაროსტიაკი (შახტარი), ვიაჩესლავ ჩეჩერი (მ. დონეცკი);

ნახევარმცველები: ოლეგ გუსევი (დინამო), სერგეი ნაზარენკო, რუსლან როტანი, ალექსანდრ რიკუნი, ოლეგ შელაევი (ყველა დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი);

თავდამსხმელები: ოლეგ ვენგლინსკი (დნიპრო), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსანდრ კოსირინი (ჩერნომორეცი), სერგეი რებროვი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია).

უეფა

სუპერლიგა. VII ტური

ვასტერასი 1:1 კაფე ოპერა

ნორვეგია

ტიპელიგა. IX ტური

ოდ გრენლანდი 1:1 მიოლდე

ისლანდია

პრემიერლიგაზიონი. IV ტური

აკრანესი 2:1 აკურეირი

გრინდავიკი 3:2 ფრამი

ვესტმანაეიარი 2:2 რეიკიავიკი

ვიკინგური 1:1 ჰაფნარფიორდური

სლოვაკეთი

პირველი ლიგა. XXXIV ტური

ჟილინა 2:0 პუხოვი

დუბნიცა 0:1 რუჟომბეროკი

ბანსკა ბისტრიცა 2:2 ტრენჩინი

პეტრჟალკა 3:0 ინტერი

სლოვანი 0:1 ტრნავა

ჰოლანდია

თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

ლეგია 1:0 ლეხი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

A ჯგუფი. III ტური

იტალია 1:0 ხორვატია

ბელარუსი 1:2 სერბეთი

ამხანაგური მატჩები

ჩინეთი 2:1 უნგრეთი

ჰოლანდია 3:0 ფარერები

ინგლისი 1:1 იაპონია

ალექსანდრე კრიჭაშვილი: ვნახოთ ფირი და ისე ვილაპარაკოთ

„ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ სკანდალურ „ოქროს მატჩზე“ მითქმა-მოთქმა არ წყდება. ბოლნისელი ქომაგები თავიანთ უდანაშაულობას ამტკიცებენ, მეტიც, თითს თბილისელებისკენ იშვერენ, მსაჯების ცემა მათ დაიწყეს, ჩვენ პროვოკაციას ვემსხვერპლეთო.

რას ამბობს თავად მსაჯი, „რემბოდ“ ცნობილი ალექსანდრე კრიჭაშვილი? რა მოხდა გასახდელში, სადაც მას და მის ასისტენტებს მოედნიდან რამდენიმე ბოლნისელი შეჰყვა?

კრიჭაშვილს გუშინ დავუკავშირდით და იმ მატჩის ამბები გამოვკითხეთ...

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

„რემბო“ კრიჭაშვილმა თავი ძლივს გადაირჩინა

— ბოლნისელები ამბობენ, მსაჯებს თბილისელები, „ვიტ ჯორჯიას“ ქომაგებიც ურტყამდნენო. ასე იყო?

— მტკიცებას ვერ დავიწყებ, ასე არ იყოო, თუმც ლოგიკურად თუ დავფიქრდებით, გამოვა, რომ სწორედ „სიონის“ ფანები გვირტყამდნენ. არეულობაში „ვიტ ჯორჯიას“ ქომაგები რატომ გაერეოდნენ?!

— ბოლნისელთა თქმით, მათ პროვოკაცია მოუწყვეს.

— თუ ვინმეს სურს გარკვევა, მსაჯებისკენ ვინ გაიწია, სულ იოლად გაარკვევს. ფირზე ყველაფერი კარგად ჩანს.

— თქვენ ვერ გაარკვიეთ, ბოლნისელები გირტყამდნენ თუ თბილისელები?

— ჩემი გაჭირვება მქონდა და ვცდილობდი, სწრაფად დამეტოვებინა მოედანი, აქეთ-იქით ცქერისა და ვინ მომდევდა, ამის გარკვევის დრო და თავი არ მქონდა.

— გასახდელში ბევრი შემოგივარდათ?

— არა, არავინ შემოვარდნილა. კი დააპირეს, მაგრამ პოლიციამ იყოჩაღა და რამდენიმე დააკავა.

— მოედანზე ბევრი მოგხვდათ?

— მე არ მომხვედრია და არც გურამ ჩიგოგიძის ცემა დამინახავს, როცა მას ურტყამდნენ, უკვე გასახდელში ვიყავი. მერე, ფირზე ვნახე გურამი კინაღამ რომ ჩაქოლეს, ბოლნისელმა როინ ონიანმა იყოჩაღა, თორემ საშინელება შეიძლებოდა მომხდარიყო.

— ბოლნისელები გადანაშაულებენ, რევაზ გოცირიძე უხამსი ჟესტისთვის უნდა გაეძევებინაო. რატომ დაინდეთ „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელი?

— რომ დამენახა, გოცირიძემ რაც გააკეთა, ნაღდად გავაძევებდი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ არ დამინახავს. გოლის მერე მას თანაგუნდელები შემოეხვივნენ და ეტყობა, ქომაგებიც ამ დროს შეურაცხყო.

— გოცირიძის ჟესტი ვერც თქვენმა ასისტენტებმა დაინახეს?

— ვერ დაინახეს, თორემ აუცილებლად მეტყოდნენ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ აქვსენტი გილაურის გაძევებით ცეცხლზე ნავთი დაასხით და დაძაბული ვითარება უარესად დაძაბეთ? იქნებ სჯობდა, გაგეფრთხილებინათ?

— რატომ უნდა გამეფრთხილებინა, როცა გასაძევებელი იყო?! გილაურის ჩემკენ განზრახ დარტყმული ბურთი რომ მომხვედროდა, თავს წამაცლიდა. იმ ეპიზოდში რაც უნდა გამეკეთებინა, ის გავაკეთე.

— და ერთი სადავო ეპიზოდიც გაიხსენეთ. „ვიტ ჯორჯიას“ მეორე გოლისას ვლადიმერ გოჩაშვილი თამაშგარეში იყოო...

— არანაირი თამაშგარე არ ყოფილა. თავდამსხმელი მცველებზე მეტრნახევრით უკან იყო. ფირზე ყველაფერი ძალიან კარგად ჩანს და გადაწყვეტილების სისწორე ვინმეს თუ აეჭვებს, მივიდეს ფედერაციაში და ფირი ნახოს. დარწმუნებული ვარ, რომ თამაშგარე არ ყოფილა.

— როცა გოჩაშვილი „სიონის“ კარისკენ გაქანდა, საჯარიმოში „ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთი ფეხბურთელი წაქცეული იყო. არ უნდა შეგეჩერებინათ თამაში?

— არ უნდა შემეჩერებინა, რადგანაც იმ წაქცეულ ფეხბურთელს თამაშზე არანაირი გავლენა არ ჰქონდა. მეკარისგან მოშორებით იყო და ყურადღებას ვერ გაუფანტავდა.

— მატჩის შემდეგ ფედერაციაში რა გითხრეს?

— არაფერი, მადლობა გადამიხადეს კარგი მსაჯობისთვის. მადლობა მითხრა „სიონის“ წარმომადგენელმა ვაჟა ჟვანიამაც. მეც მიმაჩნია, რომ კარგად ვიმსაჯე.

როინ, კაცი ხარ! ჩიგოგიძემ, ყიფშიძემ გამიმეტაო



გურამ ჩიგოგიძეს ფოტო

გურამ ჩიგოგიძე

ალექსანდრე კრიჭაშვილის ასისტენტს გურამ ჩიგოგიძეს იმ თამაშისას მიღებული იარები დღემდე ვერ მოუშუშებია, გამეტებით ნაცემი მსაჯი ცალ ხელს საერთოდ ვერ ამოძრავებს და მთელი სხეული დალურჯებული აქვს...

— სიონელი როინ ონიანი რომ არ გადამფარებოდა, მომკლავდნენ, დიდი მადლობა როინს, კაცი ყოფილა. ბოლნისელები გამეტებით მირტყამდნენ და ონიანის დახმარებით თავის დაცვა მაინც შევძელი, დანარჩენ სხეულზე კი ადგილი არაა, მოხვედრილი არ მქონდეს — გვითხრა გურამ ჩიგოგიძემ.

— ბოლნისელები ამბობდნენ, მსაჯებს არც თბილისელმა ქომაგებმა დააკლესო...

— გამორიცხულია, მოედანზე თბილისელები არ ყოფილან, თუ იყვნენ, ჩვენს დასაცავად.

— გასახდელში რა მოხდა?

— ლევან მიქელაძემ გვირაბში შეასწრო ბრბოს. ბოლნისელები გაეკიდნენ, მაგრამ ისინი შეაჩერეს. ჩვენ კი გასახდელში არც ვყოფილვართ, სადღაც, საწყობში დაგვმალეს.

— ვიდრე დავარდებოდით, იქამდე ხელი თქვენც გაიქნიეთ...

— კი, ერთ-ორს მივარტყი, აბა, ხომ არ გავჩერდებოდი?

— დავარდით და...

— დავვარდი და ოცი-ოცდაათი კაცი შემდგა. მერე, როცა მეგონა, ბოლნისელები დაწყნარდნენ-მეთქი, როინ ონიანმა თავი ამაწევინა, ცოცხალი თუ ხარო, მკითხა, ავხედე და ამ დროს „სიონის“ მწვრთნელის თანაშემწემ გიორგი ყიფშიძემ სახეში წიხლები დამიშინა. მერე ეგ არაკაცი ვიღაცამ გაიყვანა, თორემ სასიკვდილოდ მიმეტებდა.

— ბოლნისელებმა თქვეს, ყიფშიძე, პირიქით, მსაჯებს მომხდურებისგან იცავდაო...

— არა, რას ამბობთ, სწორედ გიორგი ყიფშიძე იყო, წაქცეულს სახეში წიხლებს რომ მირტყამდა. მაშინ, როცა სხვები გაჩერდნენ, ყიფშიძე მომვარდა და სახეში გამეტებით მირტყამდა.

კობა ინასარიძე

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ჩაწიხლული ჩიგოგიძე ამტკიცებს, ყიფშიძემაც მირტყაო

სპარტაკი არც ყიდის, არც ყიდულობს



ბადრი ჯეფლაძის ფოტო

თბილისის „სპარტაკი“ უმაღლეს ლიგას კი გამოეთხოვა, თუმცა ამ გუნდმა სპეციალისტების და ჟურნალისტების სიმპათიები სამართლიანად დაიმსახურა.

სეზონის დასრულებისთანავე ხმები დაირხა, უმაღლეს ლიგაში აღზევებულ ზოგიერთ გუნდს პროფლიგის მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი თანხები არ გააჩნია და ადგილს ყიდისო, მყიდველად კი სწორედ „სპარტაკს“ მიიჩნევდნენ. ამ ამბის დასაზუსტებლად შევეხმიანეთ გუშინ „სპარტაკის“ პრეზიდენტ როლანდ ჩხაიძეს...

— ბატონო როლანდ, ხმები დადის, შესაძლოა, „სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოსო...

— არ ვიცი, ამის შესახებ არაფერი მსმენია. როგორ, რის ხარჯზე უნდა შევინარჩუნოთ ადგილი?

— უმაღლეს ლიგაში გადასული წყალტუბოს „სამგურალი“ უფულოა. ხომ შეიძლება, მათი ადგილი იყიდოთ?

— წყალტუბოელებმა თუ უმაღლესი ლიგის საგზურზე უარი თქვეს, მაშინ ეს ადგილი „მცხეთას“ უფრო ეკუთვნის და ალბათ ის დაეპატრონება.

— ესე იგი, ახალ სეზონს პირველ ლიგაში ხვდებით?

— რეალობა ასეთია. თუ სხვა გუნდებიც იტყვიან უარს, სხვა საქმეა, მაგრამ ამის ალბათობას გამოვრიცხავ. სეზონს პირველ ლიგაში დავიწყებთ და ამ შემთხვევაში შემადგენლობის გადახალისება და გაახალგაზრდავება მოგვიწევს. ალბათ, ჩვენივე სკოლის 1987 წელს დაბადებულ ფეხბურთელებს დავიმატებთ.

— როგორც ჩანს, „სპარტაკს“ რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს...

— დატოვებს, მაგრამ არა სამუდამოდ. ჩვენ ხომ ამ სეზონშიც გვყავდა განათხოვრებული ფეხბურთელი — კახა ალადაშვილი „სიონს“ ვათხოვეთ. ასე იქნება მომავალშიც.

— კონკრეტულად?

— აკაკი დევაძეს ალბათ ბათუმის „დინამოში“ გავანათხოვრებთ. თენგიზ ჩიკვილაძეს „თბილისში“ ან „ვიტ ჯორჯიაში“, არჩევანს თავად ფეხბურთელი გააკეთებს. რაც შეეხება კობა შალამბერიძეს, ის ალბათ კლუბში დარჩება. ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა.

დავით ერაძე

დინამო ლიგაში ვერა, მაგრამ ლიგის მაგვარში კი ითამაშებს

საქართველოში საფეხბურთო სეზონი ავად თუ კარგად დასრულდა და ჩვენს კლუბებს ახალი, ევროპული გამოცდა ელით.

UEFA CUP

უეფას თასის ჩატარების ფორმატი შეიცვალა და იგი საკმაოდ წააგავს ჩემპიონთა ლიგისას. უეფაზე ორი ქართული გუნდი ითამაშებს: თბილისის „დინამო“ და მოკვეთილი ბოლნისის „სიონის“ შემცვლელი, სავარაუდოდ, მეოთხეადგილოსანი „თბილისი“.

წინასწარი წილისყრით უეფამ საქართველოს ცენტრალურ-აღმოსავლეთევროპულ ზონაში მიუჩინა ადგილი, სადაც 18 ქვეყნის კლუბები გაერთიანდნენ. თუმცა პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მხოლოდ ათი ქვეყნის გუნდი ითამაშებს — საქართველო, მოლდოვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი რეიტინგით უფრო მაღლა დგანან, და მათი მეტოქეებიც ამ ქვეყნებში უნდა ვეძიოთ: ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ლიხტენშტაინი.

მეორე ეტაპზე გასულებს დაემატებათ იმ 36 ქვეყნის გუნდი, რომლებსაც რეიტინგში უკეთესი მაჩვენებელი აქვთ და ამის გამო პირველ საკვალიფიკაციოში არ უთამაშიათ.

მეორე ეტაპიდან დარჩენილ 32 კლუბს დაემატება კიდევ 32 განთესილი და 16 ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოდან გავარდნილი — სულ 80. ამათგან დარჩენილი 40 გუნდი კი შექმნის ხუთგუნდიან რვა ჯგუფს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის პრინციპით ჩატარდება.

დავით ერაძე

მორჩა ჰო და არა: სამარა!

ჰოლანდიურ „ტვენტესთან“ კონტრაქტგალეული გოგა გახოკიძე ორ კვირაში ახალ გუნდს შეუერთდება. ჩვენიანი ნახევარმცველი რუსულ „კრილია სოვეტოვთან“ ორნახევარწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

გახოკიძე ახლა ისევ ჰოლანდიაშია, პირად საქმეებს აგვარებს და ხვალ-ზეგ ოჯახთან ერთად დასასვენებლად მიდის. 14 ივნისს გოგა „კრილია სოვეტოვს“ გერმანიაში უნდა შეუერთდეს, სადაც გუნდი შეკრებაზე იქნება, გახოკიძე კი სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

გოგა ორიოდ დღის წინ მოსკოვში იყო და რუსეთის თასის ფინალს დაესწრო, რომელიც მისმა მომავალმა გუნდმა გროზნოს „ტერეკთან“ 0:1 დათმო. მატჩის შემდეგ გახოკიძე „კრილიას“ პრეზიდენტს გერმან ტკაჩენკოს შეხვდა და სატრანსფერო საქმე საბოლოოდ მოაგვარა. რუსები გოგას სამწლიან კონტრაქტს სთავაზობდნენ, თუმც ფეხბურთელმა იუარა და კლუბი ორწელიწადნახევარზე შეითანხმა.

მოკლედ, თუ რამ სასწაული არ მოხდა, გოგა გახოკიძე სამარის „კრილია სოვეტოვში“ რუსეთის ჩემპიონატის განახლებისთანავე ითამაშებს.

იქამდე კი შეგახსენებთ, რომ გახოკიძისთვის რუსეთის ჩემპიონატი უცხო არაა, ის 1998 წელს ვლადიკავკაზის „ალანიაში“ თამაშობდა, საიდანაც ჰოლანდიურ პსვ-ში წავიდა.

ძოგა ინასარიძე

მომავალ შეხვედრამდე სექტემბერში

რეინჯერსი არველაძეს: თუ ითამაშებ, ჯიდევ ორი წლით მინდიხარ

შოთა არველაძის აგენტი ივან ბენეში გლაზგოში საგანგებოდ ჩავიდა, რათა თავისი კლიენტის შესახებ მოლაპარაკებოდა „რეინჯერსს“. BBC-ის ცნობით, 31 წლის შოთა არველაძეს „რეინჯერსთან“ კონტრაქტის გაგრძელება ურჩევნია სხვა გუნდში გადასვლას. შეგახსენებთ, რომ მარტში ნაოპერაციევი არველაძე ჯერაც არაა სრულ მზადყოფნაში და ოდენ მსუბუქად, ინდივიდუალურად ვარჯიშობს, ხოლო მოქმედი კონტრაქტით „რეინჯერსში“ კიდევ ერთი წელი უნდა ითამაშოს.

და რაზე შეთანხმდნენ ბენეში და „რეინჯერსი“ გლაზგოში? სანამ არველაძე სრულად არ გამოჯანმრთელდება და „რეინჯერსის“ ძირითადში კვლავ რეგულარულად არ ითამაშებს, მანამდე კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ მოლაპარაკებები არ განახლდება. „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ სექტემბერში შოთა ჯანზე იქნება და კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც მაშინ გაგრძელდება მოლაპარაკება.

და ერთი დეტალიც — თუ მანამდე „რეინჯერსი“ არველაძეს ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივებას სთავაზობდა, ახლა უკვე კონტრაქტის ორი წლით გაგრძელებაზეა ლაპარაკი — იუწყება BBC.

დავით თავართქილაძე

მილანი ჰონკონგში დაკეტჩეს



ფოტო: ფიფა.ბეტანეტ.ბეტ

გეხსომებათ, 27 მაისს კახა კალაძემ საქართველოს ნაკრებში ებრაელების წინააღმდეგ რომ ითამაშა, მეორე დილითვე ჩინეთს გაფრინდა.

აზიაში კომერციულ ტურნეს მართავს იტალიის ჩემპიონი „მილანი“. „შავ-წითლებმა“ უკვე ითამაშეს ერთი მატჩი. ჰონკონგის ცენტრალურ სტადიონზე ვარსკვლავების სანახავად 60 000 გულშემატკივარი შეიკრიბა და, მათდა გასახარად, მასპინძელმა „კიტჩმა“ „მილანს“ 2:1 მოუგო.

კალაძემ 70 წუთი ითამაშა, მერე კი პარმელმა დაინელიმ შეცვალა. „როსონერი“ ანდრეი შევჩენკოს გოლით 1:0 იგებდა, თუმც ვინმე პუტირაის დუბლით ბოლო 20 წუთში დამარცხდა.

ალბათ საინტერესოა „მილანის“ შემადგენლობა, კარლო ანჩელოტიმ ხომ ევროჩემპიონატის სამზადისისთვის სხვადასხვა ნაკრებში წასული ფეხბურთელებისგან გაცლილ გუნდს იტალიის სხვა კლუბებიდან მიწვეულნი დაამატა: *აბიატი (ფიორი 46), დიანა, კოსტაკურტა, მალდინი (კაროციერი 67), კალაძე (დაინელი 70), ბროკი (დონატი 70), ამბროზინი (დალა ბონა 46), რედონდო (ლედესმა 70), სერჯინიო (ანტონინი 70), შევჩენკო, ბორიელო (სინიორი 46).*

დაგეგმილი მეორე მატჩი დღეს გაიმართება, „მილანი“ ჩინეთის ჩემპიონ „შანხაი შენხუას“ შეხვდება, სადაც წლების წინ ქართველი გოჩა ჟორჟოლიანი თამაშობდა.

გიორგი ვაშაკიძე

ფოტო: ფიფა.ბეტანეტ.ბეტ

ესენგეს თასის შემდეგ ვიტალი დარასელიათი რამდენიმე რუსული კლუბი დაინტერესდა, საბოლოოდ კი ის ვლადიკავკაზის „ალანიას“ დარჩა. დარასელიას მცირე დრო და ცოტა თამაში დასჭირდა, რათა ოსი ფანების ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელად ქცეულიყო. დღეს ის ტრავმირებულია. მართალია, გაბზარული კოჭიდან თაბაშირი უკვე მოხსნეს, მაგრამ ნატკენი ფეხი ვარჯიშის საშუალებას ჯერაც არ აძლევს. ვიტალი ახლა თბილისშია, რედაქციაში გვესტუმრა და ახალ კლუბზე გველაპარაკა...

ერთგულ შიბლიოთეკა

პრაეჟაი, დარაგოი

დარასელია შესაძლოა დინამოელი გახდეს

— 3 ივნისამდე თბილისში ვიქნები. „ალანიას“ ხელმძღვანელობასთან მუდმივი კონტაქტი მაქვს. იციან, რომ აქ ასკურავასთან ვმკურნალობ. ტკივილები აღარ მაწუხებს, მაგრამ ვარჯიშს ჯერ ვერ ვიწყებ. გუშინაც მელაპარაკა კლუბის პრეზიდენტი და მითხრა, ნახე, შენი გზებით თუ ვერ იმკურნალებ, 4 ივნისს შენ და ლევან გვაზავას ჩარტერული რეისით საფრანგეთში გაგიშვებთო.

— შენით რუსული პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, რატომ ირჩიე მაინცდამაინც „ალანია“?

— ბევრი თვლის, რომ ეს ვლადიკავკაზის თბილისთან სიახლოვის გამო გავაკეთე, მაგრამ მარტო ეს ფაქტორი არ ყოფილა. სამი კლუბის პრეზიდენტს ველაპარაკე, მათი წინადადებები მოვისმინე და მხოლოდ ამის მერე გავაკეთე ჩემი არჩევანი. თანაც „ალანიას“ მფლობელი „ისტოკი“ რუსეთის ერთ-ერთი უსერიოზულესი და უმსხვილესი კომპანიაა. რაც მითხრეს და რასაც დამპირდნენ, ყველაფერი შემისრულეს.

— თან „ალანიაში“ ცნობილი მწვრთნელი დაგხვდა...

— „დინამოშიც“ ძლიერ მწვრთნელთან ვმუშაობდი და მასზე ნაკლებთან რომ წავსულიყავი, უკანგადადგმული ნაბიჯი გამომივიდოდა. როლან კურბისი მაღალი დონის მწვრთნელია. არც სახელი აკლია და არც ავტორიტეტი. ევროპელისთვის დამახასიათებელი უშუალობითა და პირდაპირობითაც გამოირჩევა. ვარჯიშებიც საინტერესო და განსხვავებულია, ძირითადად ტაქტიკური ხასიათისა, ფიზიკაზე აქცენტს მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდში აკეთებს. გუნდში რომ მოვიდა, თქვა, სამი-ოთხი ტური დამაცადეთ და „ალანიას“ სულ სხვაგვარად ავათამაშებო. ჩემი აზრით, შეასრულა დანპირები.

— „დინამოსთან“ განშორება არ გაგიჭირდა?

— სიმართლე გითხრა, „დინამოდან“ წასვლაზე არც მიფიქრია, მაგრამ უცბად ყველა გაგვიშვეს. არ უნდოდათ გუნდის შენარჩუნება და ჩვენ რა უნდა გვექნა. ეს ძალიან ცუდი მომენტი იყო. გუნდი ძლივს რაღაცას დაემსგავსა და... რუსეთის ჩემპიონატს რომ ვუყურებ და იმ „დინამოს“ ვიხსენებ, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ სამეულზე დაბლა არ ჩამოვიდოდით. თბილისში ბიჭებს ვურეკავდი და საკლუბო ამბებს ვიგებდი. ასე არსად ხდება — ძველები ერთი ხელის მოსმით შეცვალო და ახლები მოიყვანო. მით უმეტეს, დღეს, როცა აღარც საქართველოს ჩემპიონატია ისე ხელწამოსაკრავი, ზოგს რომ ჰგონია.

— „დინამოში“ სტაბილურმა თამაშმა ეროვნულ ნაკრებშიც გაგიღო კარი...

— ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა. ნაკრებში ადგილის დამკვიდრება კი უფრო დიდი წარმატება იქნება...

— ჟირესი შენს შესახებ ინფორმაციას პირველწყაროდან იგებს?

— კი, კურბისს რამდენჯერმე დაურეკა და ჩემზე და გვაზავაზე ჰკითხა. ისედაც ვიცი, რომ ჟირესი ეს ფაქტორი არ ყოფილა. სამი კლუბის პრეზიდენტს ველაპარაკე, მათი წინადადებები მოვისმინე და მხოლოდ ამის მერე გავაკეთე ჩემი არჩევანი. თანაც „ალანიას“ მფლობელი „ისტოკი“ რუსეთის ერთ-ერთი უსერიოზულესი და უმსხვილესი კომპანიაა. რაც მითხრეს და რასაც დამპირდნენ, ყველაფერი შემისრულეს.

— „ალანია“ რუსეთში თავისი გულშემატკივრებითაც არის ცნობილი. მაინც როგორები არიან ისინი?

— ძალიან სამართლიანი და თავისებური ხალხია. ოსების უმეტესობას ქართულიც კარგად ესმის და ჩვენი ხასიათის თავისებურებაც იცის. ძალიან კარგად მიმიღეს, სითბოსა და სიყვარულს ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. საკმარისია, პოლიციელებმა გამაჩერონ და ვუთხრა, ვიტალი დარასელია ვარ-მეთქი, რომ — პრაეჟაი დარაგოიო, მეუბნებიან. დღე არ გავა, სახლის კარზე ზარის ხმა არ გაისმას და რომელიმე გულშემატკივარი ავტოგრაფისა და მაისურის სათხოვნელად არ მოვიდეს. ბარში შევალ და ლუდზე მეპატიჟება უცნობი ხალხი და ფეხბურთზე გაუთავებელი ლაპარაკიც იწყება. თამაშებზე ხომ 20 ათას მაყურებელზე ნაკლები არ დადის, მოკლედ, ვლადიკავკაზში ფეხბურთით ცხოვრობენ და ფეხბურთელებს აღმერთებენ.

— თანაგუნდელებთან ურთიერთობა როგორ აგეწყო?

— „დინამოდან“ რომ წავედი, დარწმუნებულიც ვიყავი, რომ მსგავს მეგობრულ ატმოსფეროს ვერსად ვნახავდი. ჩასვლის დღეს კი „ალანიას“ კაპიტანმა არტურ პაგაევმა ისეთი მიღება მომიწყო... ეს ამ გუნდის სრულფასოვან წევრობას ნიშნავდა. პაგაევი ავტორიტეტია არა მარტო „ალანიაში“, არამედ მთელ რუსულ პრემიერლიგაშიც.

— რუსულ პრემიერლიგასთან შეგუება არ გაგჭირვებია?

— მართალი გითხრა, მეგონა, გამიჭირდებოდა. რუსები ხომ თავიანთი ფიზიკური გამძლეობით არიან ცნობილნი, მაგრამ ჩავედი და ვნახე, რომ იქ თამაში არც ისე რთული ყოფილა.

— თავიდან კურბისმა მარჯვენა ნახევარმცველად გათამაშა. რით ახსნა ეს?

— რომ ჩავედი, ფორმაში არ ვიყავი და ამ დროს მარჯვნიდან დამაწყებინა თამაში. ამან სულ გამაგიჟა. ბოლოს გადავწყვიტე, კატეგორიულად დავლაპარაკებოდი, მაგრამ თვითონვე ამიხსნა, მარჯვენა ნახევარმცველს ბევრი სირბილი უწევს და ეს ფორმაში შესასვლელად უფრო დაგეხმარებაო. მართლაც ასე მოხდა. ბოლოს აბსოლუტურ თავისუფლებასაც მაძლევდა, შენ ისეთი მოთამაშე ხარ, უკან ჩასვლა და ბურთის ართმევა ნაკლებად მოგიხდება, უფრო შეტევაზე იფიქრეო. მოკლედ, შუშაკის „ლუბიმჩიკი“ კურბისის „ლუბიმჩიკადაც“ ვიქეცი.

— ბოლო წარმატებული მატჩების სერიამ ალბათ მადაზე მოგიყვანათ. რა მიზნები ექნება წლეულს „ალანიას“?

— როგორც სეზონის დასაწყისში დაგეგმეს — ხუთეულში მოხვედრა და უეფას თასის საგზურის მოპოვება. ალბათ ამის შესაძლებლობები კლუბს ნაღდად აქვს. ეს პროგრამა-მინიმუმია. ვნახოთ, ეგებ უფრო მეტიც მოვახერხოთ.

— რამდენ ხანს აპირებ „ალანიაში“ დარჩენას?

— კონტრაქტი ორი პლუს ერთია. ჩემი გადაბირების მოსურნე კლუბები სხვებიც არიან. რამდენიმე მოსკოვური კლუბი და კიდევ ორი მდიდარი რუსული გუნდია დაინტერესებული. თავის დროზე „როსტოვში“ თამაშზეც ვფიქრობდი. ბოლოს და ბოლოს, იქ რატი ალექსიძეა და იმიტომაც, ჩვენ მოედანზე ერთმანეთს კარგად ვუგებთ. თუმცა როსტოველთა პრეზიდენტ ივან სავიდის რომ დაველაპარაკე, გადაწყვეტილება მალევე შეიცვალე. ისე, არ გამოვრიცხავ, ოთარ ხიზანეიშვილის თანაგუნდელიც გავხდე.

დავით ერაძე



როგორც იქნა, „ჩელსიმ“ ბოლო მოუღო ჭორებს და კლაუდიო რანიერი გაათავისუფლა. მისი შემცვლელი კი ჟოზე მაურინიუ იქნება, ეს ამბავი გუშინ გამოცხადდა



რანიერი გაუშვეს, მაურინიუ მიუშვეს

„ჩელსის“ პრეს-მდივანმა თქვა: „კლაუდიომ პირველი კლასის სამუშაო შეასრულა კლუბში და საძირკველი ჩაუყარა მომავალ დიდ წარმატებებს. ჩვენ მას ყოველივე კარგს ვუსურვებთ და ახლა მისი წასვლის ხერხებს განვიხილავთ“. რანიერის 2007 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი, მაგრამ გუნდში რომან აბრამოვიჩის მისვლის დღიდან მის წასვლაზე იყო ლაპარაკი.

რანიერი უყვარდათ გულშემატკივრებს და მისი საუკეთესო შედეგი გუნდში წლევანდელი იყო, „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა და პრემიერლიგაში მეორე ადგილი დაიკავა.

ახლა ამბობენ, რომ რანიერი ინგლისში დარჩება და რომელიმე იქაურ გუნდს გაწვრთნის.

არადა, რანიერი ყოველთვის ამბობდა, რომ „ჩელსიში“ დარჩენა სურდა: „ეს სახლის მშენებლობას ჰგავს. ჯერ მეორე სართულამდე არ ავსულვარ“.

რანიერის პირველ ორ ლონდონურ სეზონში „ჩელსი“ მეექვსე ადგილზე გავიდა და ერთხელ ასოციაციის თასის ფინალსაც უწია. 2002-03 წლების სეზონში მან ჩემპიონთა ლიგაში დააბრუნა გუნდი, თუმცა, ამ ოთხ წელიწადში ერთი ტიტულიც ვერ მოიგო, რასაც აბრამოვიჩი ვერ მოითმენდა. ახლა კი „არისტოკრატებში“ ჟოზე მაურინიუს ხანა იწყება.

ირაკლი გამყრელიძე

მწვრთნელთა ამბავი
ლიპიმ იუვენტუსს კაპელო მოუწონა

მარჩელო ლიპიმ „იუვენტუსის“ მწვრთნელად ფაბიო კაპელოს დანიშვნა ძალიან მოიწონა.

„კლუბმა დიდი ნაბიჯი გადადგა. წარმატების ახალი ტალღის ასაზვირთებლად ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდნენ. ამ ნათქვამში აბსოლუტურად გულწრფელად მიგულეთ, კაპელოზე უკეთესს ვერავის მიიყვანდნენ. კაპელო გამარჯვებების სპეციალისტია“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომლის ხელმძღვანელობით „იუვენტუსს“, შეიძლება, ითქვას ყველაფერი აქვს მოგებული.

„ფაბიო ჩემი მეგობარია. ჩვენ ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ — განაგრძო ლიპიმ — თანაც ჩვენი პროფესიული ეთიკა დაახლოებით ერთნაირია და ეს ძალიან მახარებს“.

შეგახსენებთ, რომ გასულ პარასკევს გამოცხადებული სიახლე — კაპელოს „იუვენტუსის“ მწვრთნელად დანიშვნა, მთელი საფეხბურთო საზოგადოებისთვის აბსოლუტური შოკი და მოულოდნელობა გახლდათ. საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ „ბებერი ქალბატონი“ არჩევანს დიდიე დეშანსა და ჩეზარე პრანდელის შორის აკეთებდა.

„მე თუ გამიკვირდა? მოდით, ამ საკითხს თავი დავანებოთ. მთავარია, რომ „იუვენტუსმა“ დიდებული ნაბიჯი გადადგა“ — დასძინა ლიპიმ. ჩვენ კი მწვრთნელების თემა განვავრცოთ და ამისთვის იტალიაში ერთწამსაც შევჩერდეთ: „კიეგოს“ თავკაცი, ლუიჯი დელ ნერი, მოგეხსენებათ, პორტუგალიის ჩემპიონისა და ჩემპიონთა თასის მფლობელის, „პორტუს“ ახალ მწვრთნელად განიხილებოდა, მაგრამ დელ ნერი შეიძლება იტალიაშივე დარჩეს. აი, ახლა კი სხვა ქვეყნებშიც გადავინაცვლოთ — ამბობენ, „პორტუს“ თავკაცი შესაძლოა, ესპანეთიდან მიუყვანონო და ლაპარაკია არც მეტი, არც ნაკლები, „რეალის“ ყოფილ ტიტულოვან თავკაც ვისენტე დელ ბოსკეზე..

დელ ნერიმ ერთი ხნის წინ აღიარა, რომ „პორტუს“ ოფისიდან შეეხმიანენ მის აგენტს, მაგრამ პორტუგალიური გაზეთები სხვას ამბობენ.

პაპუნა კედია

მარჩელო ლიპი

ფაბიო კაპელო

ბენიტესმა ვალენსია იუარლი რაფაელის ერმ ლივერპული გაახარა

ესპანეთის ჩემპიონისა და უეფას თასის მფლობელის, „ვალენსიას“ სამწვრთნელო ბანაკში ცვლილებებია — საამსეზონო წარმატებათა სულისჩამდგმელი რაფაელ ბენიტესი გუნდიდან წავიდა. მან კონტრაქტის განახლებაზეც უარი თქვა და კონტრაქტით გათვალისწინებულ კიდევ ერთი სეზონით დარჩენაზეც.

რაფაელ ბენიტესი

დღეისთვის ევროპაში უამრავი კლუბია, რომელთა ხელმძღვანელობაც რაფასნაირ გამოცდილ სპეციალისტს დიდი სიამოვნებით დაიგულებდა. ამათგან ბენიტესის ხელში ჩასაგდებად ყველაზე სერიოზულ პრეტენზიებს თურქული „ბეშიქთაში“ და ინგლისური „ლივერპული“ აცხადებენ. თუმცა მწვრთნელის სიმპათიები უფრო ინგლისელებისკენ იხრება — „ენფილდ როუდის“ გუნდი ფრანგ ჟერარ ულიეს ცოტა ხნის წინ დაემშვიდობა და ამჟამად ბენიტესს ხუთწლიან ხელსაყრელ სატრანსფერო გარიგებას სთავაზობს.

„ვალენსია“ კი ახალ მწვრთნელს ეძებს. ესპანელებს რომან აბრამოვიჩის მიერ „ჩელსიდან“ მოძულებული კლაუდიო რანიერი და ფრანგული „მონაკოს“ მწვრთნელი დიდიე დეშანი შეუგულებით. რანიერიმ „სტემფორდ ბრიჯის“ ლურჯი გვარდია 2003-04 წლების პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გაიყვანა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ოდენ ნახევარფინალში შეფერხდა. დეშანმა კი საფეხბურთო მსოფლიო იმით გააკვირვა, რომ არცთუ ისე ძლიერი „მონაკო“ საჩემპიონთალიგო ფინალისტი გახადა.

ლადო ხომერიკი

მოედანზე გარანტიაა
ანჩელოტი სტამით ბედნიერია

კარლო ანჩელოტის ეჭვი არ ეპარება, რომ მისი „მილანი“ მომავალ სეზონში კიდევ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ახლა იყო, როდესაც ჩემპიონი გახდა. ამის საბაბს კი მწვრთნელს „ლაციოდან“ იაპ სტამის შეძენა და ფილიპო ინძაგის ფაქტორი აძლევს.

„ჩვენ პიპოს გარეშე, კაკასა და იონ დალ ტომასონის დიდებული თამაშის წყალობით, უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ და ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ როდესაც ჩვენს ანსამბლს ინძაგიც დაემატება და თან ანდრეი შევჩენკოც შეუწყვილდება, კიდევ უფრო ძლიერნი ვიქნებით.

სტამი? მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ „მილანი“ ძალიან ბედნიერია ასეთი მოთამაშე რომ დაიმატა“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

საინტერესოა მწვრთნელის აზრი ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატზეც:

„პორტუგალიაში თავს ანდრეა პირლო გამოიჩენს. იგი „მილანის“ დონის კლუბში ახერხებს გამთამაშებლობას და ცხადია, ნაკრებშიც შეძლებს. თუმცა, რას და როგორ დაავალებს ნაკრებში, ჯოვანი ტრაპატონის საქმეა. მე ერთი ვიცი, პირლო თავისთავად ნიშნავს ბევრ გარანტიას“. აქვე ისიც დავამატოთ, რომ „მილანი“ ახლა ჩინეთშია და ამ აზიურ ტურნეში ორი დაგეგმილი ამხანაგური მატჩიდან ერთი უკვე ითამაშა და 1:2 დამარცხდა.

პაპუნა კედია



კარლო ანჩელოტი

კასანო დაღმა, დელ პიერო აღმა

ალესანდრო დელ პიერო დარწმუნებულია, რომ მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე თავს გამოიჩენს. დავიწყოთ იმით, რომ იუვენტუსელი ძალიან მოსწონს ნაკრების თავკაცს ჯოვანი ტრაპატონის

ჯოვანი ტრაპატონი ალესანდრო დელ პიეროს სკამზე დასმას არ უპირებს

„ძალიან მომწონს ალექსის თამაში. ის ტაქტიკურადაც გაწაფულია და მეტოქეთა შორის დრიბლინგით გაძრომაც ეხერხება, თამაშს ამწვავებს, ტემპს ამაღლებს. მერედა მისი ბუნებრივი პოზიცია მარცხნივაა, რაც ფრანჩესკო ტოტისა და კრისტიან ვიერისთვის ათავისუფლებს დიდ ფართობს" — ამბობს ტრაპატონი და ამ განცხადებით ეწინააღმდეგება იმ ადამიანებს, რომლებსაც სწამთ, რომ პორტუგალიის სტადიონებზე დელ პიეროს ნაცვლად შეტევაში რომაელმა ანტონიო კასანომ უნდა ითამაშოს. ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში, ტუნისში, კასანო ტრაპატონიმ ბოლოსკენ შეიყვანა მოედანზე.

ტრაპატონი: „კასანო თამაშში მაშინ ჩაერთო, როდესაც ტემპი უკვე დაღმა მიდიოდა, ჩემს კარიერაში კასანოსნაირი ბევრი ფეხბურთელი ყოფილა, მათ მოედანზე ბოლოსკენ შესვლა და გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლიათ".

მწვრთნელის ეს განცხადება კი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ბებერ ტაქტიკოსს რეგულარულად დელ პიეროს გამოყენება უჯობს, მაგრამ არის საკითხის მეორე მხარე — დელ პიეროს ტრავმა აწუხებდა და ამ წუთას საუკეთესო ფორმაში ნამდვილად ვერ არის, მაშინ, როდესაც კასანო რიდებულადაა მზად.

„მიუხედავად [illegible] მეები [illegible] — ამბობს დელ პიერო — [illegible] ცოცხალთან [illegible] ან ევროპის ჩემპიონატებზე ცუდად მომზადებული მივდიოდი. დღეს კი, ბოლოს და ბოლოს, წინ ათ დღეზე მეტია".

ბუნებრივია, „იუვენტუსის" ვარსკვლავს არ მოერიდნენ და კასანოზე პირდაპირ ჰკითხეს.

„ის ჩემი მეტოქე არ არის, ახალი თანაგუნდელია — ცივად მიუგო დელ პიერომ — ახალს იმიტომ ვამბობ, რომ ერთად დიდხანს არ ვყოფილვართ. კასანო ნაკრებში მაშინ აიყვანეს, როდესაც მე ტრავმის გამო ვერ ვთამაშობდი".

შეგახსენებთ, რომ „ბებერი ქალბატონის" კაპიტანმა ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდად ითამაშა.

„იმ მუნდიალზე გავემგზავრე, როგორც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი, მაგრამ იქ, იაპონიაში, გუნდმა ტაქტიკა შეცვალა და სკამზე ამოვყავი თავი. თუ ტრაპი დღევანდელ 4-2-3-1-ს არ შეცვლის, არა მგონია, ჩემთვის რაიმე პრობლემა შეიქმნას" — განმარტა ფორვარდმა.

პაპუნა კედია

დედაქალაქიდან დედაქალაქში

ემერსონი რეალს უარს ვერ ეტყვის

მადრიდის „რეალი" აცხადებს, რომ ბრაზილიელი ემერსონი მისი გახდება. „რეალმა" „რომას" ემერსონში 20 მილიონი ევრო შესთავაზა

ეს ამბავი კი ესპანელთა წარმომადგენელმა ერნესტო ბრონხეტიმ გაახმაურა. იგი ამ ეტაპზე სწორედ ემერსონის საკითხით გახლავთ დაკავებული და იტალიურ „რადიო რადიოსაც" მან მისცა ინტერვიუ.

„ჩვენ რომაელებს 20 მილიონი შევთავაზეთ. ნამდვილად ვერ გეტყვით, რა თანხები შესთავაზეს მათ სხვა კლუბებმა, თუმცა, მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს. მე ერთი ვიცი, მსოფლიოში არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც „რეალის" წინადაღებაზე უარს იტყვის" — თქვა ბრონხეტიმ.

აღსანიშნავია, რომ „რომა" ემერსონს ამ ზაფხულზე აუცილებლად გაყიდის, ვინაიდან ერთი წელიც რომ მოითმინოს, ბრაზილიელი ნახევარმცველი თავისუფალი აგენტის სტატუსით წაუვა. ამასთან შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ემერსონის სახელი „იუვენტუსთან" დაკავშირეს. ამბობდნენ, რომ ყოფილი თუ ჯერ კიდევ რომაელი ტურინელებთან უკვე ყველაფერზე გარიგებული იყოო.

ბრონხეტი: „არ ვიცი „იუვენტუსი" და „ინტერი" რაიმე კავშირში თუ არიან ამ ფეხბურთელთან. მე ვიცი ის, რომ „რომას" დირექტორმა, ფრანკო ბალდინიმ სიტყვა მოგვცა, „რეალთან" მოლაპარაკებები გაგრძელდებაო".

„იუვე" კი ემერსონს ოთხწლიან კონტრაქტს და წელიწადში 5 მილიონ ევროს ჰპირდებოდა.

ისევ ბრონხეტი: „მადრიდში კარგად იციან, რომ ემერსონი მაღალანაზღაურებიანი ფეხბურთელია. ეჭვი არ მეპარება, რომ გარიგება შედგება".

და ბოლოს, თუ ემერსონი მართლა გადავა „რეალში", იგი ვალტერ სამუელის შემდეგ გახდება მეორე, ვინც იტალიის დედაქალაქიდან ესპანეთის დედაქალაქში გადაბარგდა.

პაპუნა კედია

მარვიიკმა დიდ ძმას პატარა ძმა ანაცვალა

„ფეინოორდის" აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი გუშინ დორტმუნდის „ბორუსიას" თავკაცად დანიშნეს.

დორტმუნდელთა კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰოლანდიელმა „შავ-ყვითლებთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დორტმუნდის „ბორუსიამ" მათიას ზამერთან კონტრაქტი კვირას გაწყვიტა, რადგან მის ხელში ბოლო სეზონში გუნდმა უეფას თასზეც ვერ გააღწია. თავის მხრივ, ზამერმა „შტუტგარტიდან" მიუნხენის „ბაიერნში" გადასული ფელიქს მაგათი შეცვალა.



აქვე გავიხსენოთ, რომ უეფას 2002 წლის თასის გათამაშების ფინალში, როტერდამში, „ფეიენოორდმა" დორტმუნდის „ბორუსია" 3:2 დაამარცხა. მაშინ ჰოლანდიური გუნდის მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი იყო, ხოლო გერმანელებს მათიას ზამერი თავკაცობდა.

„ჩემი მიზანი, ბეჯითად მუშაობა და ფეხბურთით სიამოვნების მიღებაა — აღნიშნა ვან მარვიიკმა — „ბორუსია" დიდი ტრადიციების გუნდია და უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. ტრადიციებს და ქომაგებს როტერდამში კარგად ვიყენებდით, დორტმუნდის „ბორუსია" კი „ფეიენოორდის" დიდი ძმაა".

„ძალიან კმაყოფილნი ვართ ამ კონტრაქტით — განაცხადა გერმანული კლუბის პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა — ბერტს დიდი სახელი აქვს ევროპაში და მასთან ერთად ახალ ერას ვიწყებთ".

ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი

A ჯგუფი. V ტური

სპარტა 2:2 ჰელმონდი

ვენლო 1:1 ვიტესი

ვიტესი	5	3	2	0	12:4	11
სპარტა	5	1	3	1	8:8	6
ვენლო	5	1	2	2	8:9	5
ჰელმონდი	5	0	3	2	6:13	3

B ჯგუფი. V ტური

გრაააფსხაპი 4:0 ვოლენდამი

ჰერაკლესი 2:2 ექსელსიორი

ჰერაკლესი	5	3	1	1	9:4	10
გრაააფსხაპი	5	3	1	1	7:2	10
ექსელსიორი	5	2	2	1	6:5	8
ვოლენდამი	5	0	0	5	2:13	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ოკეანეთი

II საკვალიფიკაციო წრე

II ტური

ახალი ზელანდია 3:0 სოლომონის კუნძ.

ავსტრალია 9:0 ტაიტი

ფიჯი 1:0 ვანუატუ

ავსტრალია	2	2	0	0	10:0	6
ფიჯი	2	1	1	0	1:0	4
ახალი ზელანდია	2	1	0	1	3:1	3
სოლომონის კუნძ.	2	1	0	1	1:3	3
ტაიტი	2	0	1	1	0:9	1
ვანუატუ	2	0	0	2	0:2	0

ნორვეგია

ტიპელიგა. IX ტური

ტრომსიო 2:0 ვოლერენგა

ჰამ კამი 1:1 ლილესტრიომი

სტაბეკი 0:1 ვიკინგი

ბოდიო გლიმტი 0:3 ფრედრიქსტადი

ლინი 1:2 ბრანი

სოგნდალი 3:3 რუსენბორგი

ტრომსიო	9	6	1	2	18:8	19
ჰამ კამი	9	4	4	1	10:7	16
ოდ გრენლანდი	8	4	3	1	15:9	15
ვოლერენგა	9	3	5	1	9:8	14
ბრანი	9	4	1	4	13:10	13
რუსენბორგი	9	3	4	2	13:13	13
ლინი	9	3	3	3	8:7	12
ვიკინგი	9	2	5	2	7:9	11
ლილესტრიომი	9	2	4	3	11:11	10
სტაბეკი	9	3	1	5	10:14	10
ბოდიო გლიმტი	9	3	1	5	10:15	10
მოლდე	8	2	3	3	9:10	9
ფრედრიქსტადი	9	2	2	5	13:19	8
სოგნდალი	9	1	3	5	12:18	6

ამხანაგური მატჩები

ნიგერია 2:0 იამაიკა

1:0 უტაკა (17), 2:0 ოგბეჩე (55)

საამირეთები 2:3 ბაჰრეინი

0:1 ჯულოომი (40), 0:2, 0:3 ალი (48, 77), 1:3 სალამ-ჯუმა (82), 2:3 მუბაილი (84ს.ჯ.)

აღარც რეალი, აღარც გართობა

რობერტო კარლოსი: ორი წელი 31 წლის ასაკს?!



ფლორენტინო პერესის მადრიდის „რეალს“ რობერტო კარლოსი აუჯანყდა. ბრაზილიაში არდადეგებზე მყოფმა მოთამაშემ გუშინ იქაურ „ა ბოლასადმი“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ სამეფო გუნდის თავკაცთა შემოთავაზება მისი კონტრაქტის მხოლოდ ორი წლით გახანგრძლივების შესახებ არ მოსწონს და ასეთ შემთხვევაში „რეალთან“ თანამშრომლობაზე უარს განაცხადებს

რობერტო კარლოსის აზრით, კარგი იქნება, თუ მადრიდელ ფეხბურთელებს ძვირფას ნივთებად კი არა, ჩვეულებრივ — სისხლხორცეულ ადამიანებად ჩათვლიან. „კონტრაქტის პირობები არ მომწონს. „რეალში“ მეუბნებიან, ვნახოთ, ამ ორ წელიწადს როგორ ითამაშებ და მომავალზე მერე ვილაპარაკოთო. მაგრამ მე უკვე 31 წლის ვარ და ასეთ მოქცევას არ ვიმსახურებ. როცა „რეალის“ მაისურას ვიცმევ, ყოველთვის ვცდილობ, მოედანზე შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთო“.

გარდა ამისა, რობერტო კარლოსს თანამემამულე კალმოსნებთან მასლაათისას არც აბრამოვიჩის „ჩელსისადმი“ სიმპათიები დაუმალავს: „ვიცი, რომ ბევრს ლაპარაკობენ ჩემი და ლონდონის „ჩელსის“ ურთიერთობის შესახებ. ჯერჯერობით ინგლისში წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ არც „რეალთან“ დაცილებას გამოვრიცხავ. ანუ, რაკი ინფორმაცია ჩემი გადასვლის თაობაზე არსებობს, ესე იგი, გაზეთებს ეს ამბავი ტყუილუბრალოდ არ დაუწერიათ...“

მადრიდელთა სახელგანთქმულმა მცველმა „რეალიდან“ ახლახან დათხოვნილ პორტუგალიელ კარლუშ კეირუშეზც ილაპარაკა. ბრაზილიელი გუნდის ბოლოჟამინდელ ჩავარდნაში მარტო ყოფილ მწვრთნელს არ ადანაშაულებს: „მადრიდის „რეალი“ ბრაზილიურ კლუბებს ჰგავს — წააგებს ორიოდ თამაშს და ყველა უმალ მწვრთნელის გაგდებაზე ალაპარაკდება. საამსეზონო მარცხში მეც დამნაშავე ვარ, რაულიც, რონალდოც, ზიდანიც და კეირუშიც, თუმც უფროსობის გადაწყვეტილებით, პასუხისმგებლობა მხოლოდ მწვრთნელს დაეკისრა“.

კარლოსი ზუსტად ასახელებს იმ დღეს, როცა წლევანდელ პრიმერადივიზიონში და ევროპულ სარბიელზე „რეალის“ ძლევამოსილი სვლა ფიასკომ შეცვალა: „კოპა დელ რეის ფინალი — აი, საიდან დაიწყო იმ უცნაურ წაგებათა სერია, საბოლოოდ ჯილდოთა გარეშე რომ დაგვტოვა. რვა თვის განმავლობაში ბრწყინვალედ ვითამაშეთ, ხოლო ორთვენახევარი საშინელ სიზმარს ჰგავდა. „რეალის“ ფეხბურთი პრიმერაში ყველაზე ლამაზი იყო, შედეგები კი ყველაზე უსახური.“.

რობერტო კარლოსს მისი და მისი თანაგუნდელების ღამეულ ცხოვრებაზეც დაეკითხნენ, რაზეც იუმორით გაჯერებული პასუხიც მიიღეს: „თქვენ მთხოვთ, ჩემი და ჩემი თანაგუნდელების ღამეული ლაშქრობების შესახებ მოგიყვეთ?. კარგია, თუ ადამიანი თავისუფალ დროს ზომიერების ფარგლებში რასაც უნდა იმას გააკეთებს. „რეალშიც“ ასე ვიქცეოდით და ამით არაფერი ფუჭდებოდა. აი, როცა მე, ბექემსა და რონალდოს ნავარდი აგვიკრძალეს, ყველაფერი პირიქით დატრიალდა — ზედიზედ 5 წაგებული თამაშითა და პრიმერადივიზიონის მეოთხე ადგილით დავსაჩუქრდით“...

ლადო ხომერიკი

ბრაზილიელი ჟულიანო ბელეტი თავის საფეხბურთო ოსტატობას ამიერიდან კატალონიურ „ბარსელონას“ მოახმარს. ბელეტიმ ესპანურ „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ ინტერვიუში გაამხილა, რომ ყოფილი თანაგუნდელები „ბარსასკენ“ მიმავალს ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის მელოდიით დაემშვიდობნენ...

გამარჯობათ, მე ვარ ბელეტი!

ბრაზილიელი ვილიარეალიდან ჰიმნით გაამცილეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალია, როდესაც „ვილიარეალის“ გასახდელს პირველად მიაკითხეთ, დამხვდურთ ამ სიტყვებით მიმართეთ — მე ვარ ბელეტი, მსოფლიოს ჩემპიონი. ვინმეს რაიმე საქმე ხომ გაქვთ ჩემთან? მაშინდელ თანაგუნდელებს მართლა ასე უთხარით?

— მსგავსი არაფერი მითქვამს. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი რამდენიმე წუთით მართლაც ვითამაშე. ამგვარად, მეც მსფოლიოს ჩემპიონი ვარ და ამით ძალიან ვამაყობ.

— ახალი, ამჯერად ბარსელონური ლეგენდა ალბათ ასეთი იქნება — ბელეტი „კამპ ნოუს“ გასახდელში შედის და კატალონიელებს ესალმება: „მე ვარ ბელეტი, მსოფლიოს საუკეთესო მცველი...“

— თქვენ ახლა პეპე რეინას სიტყვებს იმეორებთ, ოღონდ მცირედი შესწორებით. „ვილიარეალის“ მეკარემ გუნდის პრესკონფერენციაზე განუცხადა ჟურნალისტებს: ბელეტი მსოფლიოს საუკეთესო მცველი გახდებაო.

—თუ ელოდებოდით „ბარსელონაში“ მოხვედრას?

— „ვილიარეალსა“ და „ბარსელონას“ შორის მოლაპარაკებებზე კი მსმენოდა, თუმცა მაინც დაუჯერებლად მეჩვენა, „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა, სანდრო როსელიმ რომ დამირეკა და მითხრა — „ვილიასთან“ ყველაფერი მოვაგვარეთოო...

— თქვენი „ბარსაში“ ჩარიცხვის ამბავი სად შეიტყვეთ?

— მეუღლესთან ერთად ვიყავი შინ და, როგორც ყოველთვის, მუსიკას ვუსმენდი. მახსოვს, ჩემს პატარა ფინიას, ნეროს ვეთამაშებოდი. თუმც ეს ძაღლი უფრო სიმონეს საკუთრებად ითვლება, სულ გუნდთან ან ნაკრებთან ერთად ვმოგზაურობ და ნერიტოსთვის დრო აღარ მრჩება.

რონალდინიო და ჟულიანო ბელეტი

— მუსიკა ძალიან გიყვართ?

— როკს ვუსმენ და ცოლიც გიჟურ რიტმებს შევაჩვიე, მაგრამ ახლა ძველი ჰობის შეცვლა მომიწევს — სიმონემ ოთხი დღის წინ გამიმხილა, რომ მამა გავხდები. ბედნიერი ვარ. ერთ თვეში სამი კარგი ამბავი მოხდა. „მადრიგალზე“ ყველა გულშემატკივარი ჩემს სახელს გასძახოდა, „ბარსელონამ“ მის რიგებში მიმიხმო და ახლახან შევიტყვე, რომ მამა გავხდები.

— გამოდის, რონალდინიომ ჩინებული მუსიკალური მეწყვილე იპოვა. როგორც ვიცი, რონი გიტარაზე საუცხოოდ უკრავს...

— კი, კარგად უკრავს, ოღონდ სამბას და სხვა ჩვენებურ მელოდიებს.

— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— როკისა და კლასიკური მუსიკის მოსმენის გარდა კინოში სიარული მიყვარს.

— გოლის გატანის მერე რაულივით ბეჭედს კოცნით...

— 1999 წელს „ატლეტიკო მინეიროში“ ვთამაშობდი. მაშინ საცოლესთან ერთად, რომელიც დღეს ჩემი მეუღლეა, ავტოკატასტროფაში მოვყევი. საკმაოდ მძიმედ დავშავდით. ორი თვე მოედანს ვერ ვეკარებოდი, მაგრამ სიმონე უფრო უარესად იყო, ფეხი სამ ადგილას ჰქონდა გადატეხილი. ბრაზილიის ჩემპიონატის ნახევარფინალში, „მინეიროს“ სტადიონზე, ჩემი გუნდის მესამე გოლი გავიტანე და სიმონეს მივუძღვენი — ბეჭედს ვაკოცე. ეს ჩვეულებაც იქედან მოდის...

— „ვილიას“ ფეხბურთელები როგორ დაგემშვიდობნენ „კამპ ნოუზე“ გადასვლის წინ?

— ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი მიმღერეს... რიკელმე ბარსელონას სილამაზეზე მელაპარაკებოდა, ისევე როგორც რონალდინიო, რომელმაც მითხრა, კატალონიის მთავარქალაქი პარიზზე უკეთესიაო.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ!

ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲔᲑᲘ

ᲞᲔᲜᲢᲘᲣᲛ 1 (200 MMX)

ოპერატიული მეხსიერება — 64 MB, HDD — 1,2 GB, ვიდეო მეხსიერება — 1 MB, Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD

მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15”

ᲤᲐᲡᲘ — 100 $

ᲞᲔᲜᲢᲘᲣᲛ 1 (166 MMX)

ოპერატიული მეხსიერება — 38 MB , HDD — 2,0 GB, ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board), Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD

მონიტორი — LG STUDIOWORKS 15”

ᲤᲐᲡᲘ — 100 $

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39-48-29, 38-11-14

ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, ხორვატია

საჭადრაკო მიმოხილვა

ვალერ სულიმოვი

განრიგი

13 ივნისი
ლეირია. „მაგალიაეში". 21.00
შვეიცარია – ხორვატია

17 ივნისი
ლეირია. „მაგალიაეში". 23.45
ხორვატია – საფრანგეთი

21 ივნისი
ლისაბონი. „ლუზი". 23.45
ხორვატია – ინგლისი

შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე ხორვატიის გასვლის გამო ბელგიელებმა ბულგარელები მსუბუქად გამოლანძღეს.

ბოლო ტურის წინ ბულგარელებს პირველი ადგილი და პორტუგალიის საგზური განაღდებული ჰქონდათ. ისინი სტუმრად ხორვატებს ეთამაშებოდნენ, რომლებსაც აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ.

ბელგიელები კი ესტონეთს მასპინძლობდნენ და საპორტუგალიოდ ასევე უნდა მოეგოთ. მეორე ადგილის ორივე მსურველმა იმარჯვა. ხორვატებმა ბულგარელებს 1:0 სძლიეს, ხოლო „წითელმა ეშმაკებმა" ბალტიისპირელებს 2:0. შედეგად ბალკანელებს და ბელგიელებს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ. ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებელი ხორვატებს აღმოაჩნდათ და პლეი ოფშიც ისინი მოხვდნენ. ამის შემდეგ ბელგიელებმა ბულგარელები უგულო თამაშში და მატჩისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში დაადანაშაულეს.

პლეი ოფში ხორვატები სლოვენიელებს დაეჯახნენ. პირველ შეხვედრაში, ზაგრებში, მასპინძლები მეტოქეს (1:1) დაუზავდნენ, ხოლო სტუმრად დადო პრსოს გოლით (1:0) იმარჯვეს. ასე გაძვრა ხორვატია ევრო 2004-ზე, მაგრამ წილისყრისას აშკარად არ გაუმართლა — ჯგუფში ორ ევროვეშაპთან, ინგლისთან და საფრანგეთთან მოხვდა.

მოკლედ, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალისტები — საფრანგეთი და ხორვატია — კვლავ შეეყრებიან ერთმანეთს. ფრანგებს ძველი გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი შემორჩათ, ხორვატებს კი ზვონიმირ ბობანის, რობერტ პროსინეჩკის, დავორ შუკერის, რობერტ იარნისა და ალენ ბოკშიჩის დარი ფეხბურთელები აღარ ჰყავთ.

ბალკანელები საპორტუგალიოდ სათანადოდ ვერ მოემზადნენ. მათ ტრავმათა და სხვა მიზეზთა გამო შესარჩევშიც აკლდათ მთავარი ფეხბურთელები. ოტო ბარიჩის გუნდს ყველაზე მეტად ნახევარდაცვის გულში აქვს პრობლემები.

ბოლო ამხანაგურ მატჩში ხორვატებმა სლოვაკეთს უმასპინძლეს და ივიცა ოლიჩის გოლით იმარჯვეს. ამ მატჩში ოტო ბარიჩმა დაშავებული დადო პრსო და ივან კლასნიჩი მოისაკლისა. მწვრთნელმა გამთამაშებლობა „კაიზერსლაუტერნის" ნენად ბიელიცას ანდო და სავარაუდოდ, ევროპის ჩემპიონატზე პლეიმეიკერობას სწორედ ის გასწევს.

აღსანიშნავია, რომ შესარჩევი ეტაპის დაწყებიდან დღემდე ოტო ბარიჩმა ნაკრებში 49 ფეხბურთელი შეამოწმა.

პირველი შეხვედრა ხორვატებს შვეიცარიელებთან ელით. „ჩვენ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ შვეიცარია, შემდეგ კი ინგლისს შევებრძოლოთ ქულისთვის" — ასეთი დევიზი დაისახეს მწვრთნელმა, ფეხბურთელებმა და ხორვატიულმა მედიამ.

შვეიცარიელებთან მოგებას ბალკანელები დადო პრსოსა და ივიცა ოლიჩის შემტევი წყვილით აპირებენ, დაცვაში კი ბარიჩს ნაცადი ბიჭები ჰყავს — რობერტ კოვაჩი „ბაიერნიდან", დარიო შიმიჩი „მილანიდან" და იგორ ტუდორი „იუვენტუსიდან". ესაა ტრიო იმ შემთხვევაში, თუ ხორვატები სამი მცველით ითამაშებენ, ხოლო თუ მეოთხეც დასჭირდათ, მარცხენა ფლანგზე ბერლინის „ჰერტას" იოსიპ სიმუნიჩს გაამწესებენ.

მწვრთნელი

თმაშემღებილი ტრადიციონალისტი

ოტო ბარიჩს არ უყვარს ცისფრები და მოუწოდებს ქალებისკენ

ოტო ბარიჩი ევრო 2004-ზე მონაწილე გუნდთა მწვრთნელებს შორის უხუცესია. ამ თვეში მას 71 წელი შეუსრულდება. იგი ხშირად იცვლის თმის ფერს და ამბობს, რომ თავს 50-ს მიტანებული ვაჟკაცივით გრძნობს.

მწვრთნელობა 40 წლის წინ, ზაგრების „ლოკომოტივში" დაიწყო და მას შემდეგ 21 ადგილზე უმუშავია, 1999-2001 წლებში კი ავსტრიის ნაკრებსაც თავკაცობდა.

ოტო ბარიჩმა ვენის „რაპიდი" 1985 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა, ხოლო 1994 წელს „ზალცბურგი" უეფას თასის ფინალში.

ავსტრიასა და ხორვატიაში მრავლად ჯილდო მოაქუჩა, ხორვატიის ეროვნული გუნდი კი 2002 წლის ივლისში მირკო იოზიჩისგან ჩაიბარა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრები ჯგუფიდან ვერ გაიყვანა.

ოტო ბარიჩმა გუნდის გადახალისება ორი წლის წინ დაიწყო. ვეტერანები გაუშვა და ახალგაზრდებს უხმო. 19 მატჩში სულ 49 ფეხბურთელი გამოსცადა. ხორვატულმა მედიამ „მოხეტიალე მწვრთნელი" შეარქვა, რადგან სანაკრებოდ მოთამაშეების ძიებაში ევროპა შემოიარა.

მხცოვანმა და გამოცდილმა ყური არავის უგდო. ერთ-ერთ ინტერვიუში კი აღნიშნა, რომ გუნდში ჰომოსექსუალისტებს არ გააჭაჭანებს.

„ნაკრების შენება ახლიდან დაიწყე და ორ წელიწადში 17-18 ისეთი ფეხბურთელი მოვძებნე, რომლებსაც ევროგრანდებთან ტოლსწორად შეუძლიათ თამაში. ჩვენ არ გვყავს გამოკვეთილი ლიდერი და ყველა მოთამაშისგან პირველ რიგში დისციპლინას მოვითხოვ" — თქვა ბარიჩმა.

დისციპლინის მოყვარული მწვრთნელი არც ისე მკაცრია, რომ თავისი შეგირდები უქალებოდ დატოვოს. „ევროპის ჩემპიონატის დროს ჩემს ფეხბურთელებს სექსს არ ავუკრძალავ. ნებისმიერი მატჩის შემდეგ შეუძლიათ, თავისუფალი დრო ცოლებთან დ მეგობარ გოგონებთან გაატარონ" — აღნიშნა მოხუცმა, თუმც ექიმმა მოთამაშეთა გასაგონად დაამატა, ნამეტანი არ მოგვიდეო, თორემ ევროპის ჩემპიონატი განზე დაგრჩებათო.

ოტო ბარიჩმა უკვე იცის, როგორ სძლიოს შვეიცარიას: „დამიჯერეთ, უკვე მყავს შერჩეული 11 კაცი, რომლებიც შვეიცარიასთან მატჩს მოიგებენ. თქვენ თავად ნახავთ ჩემი გუნდის ძალას კოპენჰაგენში 5 ივნისს, როცა დანიას შევხვდებით".

ხორვატთა მწვრთნელის განცხადებით, ევრო 2004-ის შემდეგ იგი ნაკრებიდანდან წავა. კონტრაქტის ვადა 31 ივლისს ეწურება, თუმც ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის თქმით, ივლისის ბოლომდე დიდი დროა და შესაძლოა, ბარიჩი დატოვონ. ალბათ, თვითონ აღარ დარჩება, მის შემცვლელად კი ზვონიმირ ბობანს ასახელებენ.

ოტო ბარიჩი

ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, ხორვატია



რობერტ კოვაჩი და მისი „მის ხორვატია“ ცოლი

ლამაზმანის მცველი

მიუნხენის „ბაიერნის“ ლეგიონერი რობერტ კოვაჩი გამოცდილი, ფიზიკურად ძლიერი მცველია და ოტო ბარიჩს მისი მეტად ეიმედება.

ბერლინში დაბადებული ძმები ნიკო და რობერტ კოვაჩები ბოსნიიდან წასულ ხორვატთა შვილები არიან.

რობერტმა, რომელსაც აპრილში 30 წელი შეუსრულდა, კარიერა მოყვარულთა ლიგაში დაიწყო, 1995 წელს კი „ნიურნბერგის“ შემადგენლობაში ბუნდესლიგაში ითამაშა.

1996-ში „ნიურნბერგიდან“ ლევერკუზენის „ბაიერში“ გადავიდა, მაგრამ 2001 წელს ხელმოცარული გუნდიდან მიუნხენის „ბაიერნში“ აღმოჩნდა.

პირველივე სეზონში „ბაიერნი“ ჩემპიონი გახდა და ქვეყნის თასი მოიგო. ნაწილობრივ რობერტ კოვაჩის დამსახურებაა, რომ მაშინ ოლივერ კანმა 830 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვა და ბუნდესლიგის რეკორდი დაამყარა.

ხორვატმა მცველმა მიუნხენში ბრწყინვალე ორი სეზონი გაატარა, მაგრამ წლეულს „ბაიერნი“ კოვაჩიანად „ჩავარდა“.

მიუხედავად ამისა, ოტო ბარიჩისთვის იგი ძალიან ძვირფასია. ტრავმირებული თანაგუნდელი მცველების შემცვლელია და დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე თამაშობს.

„მე ძალიან ბევრი ვიფიქრე და გავაანალიზე ის შეცდომები, რომლებიც ამ სეზონში მქონდა — თქვა რობერტ კოვაჩმა — ვიმედოვნებ, რომ საპორტუგალიოდ ხარვეზებს გამოვასწორებ და ნაკრებისთვის ყოველმხრივ სასარგებლო ვიქნები“.

„ბაიერნის“ ლეგიონერი 2 წლის წინ „მის ხორვატიაზე“ დაქორწინდა და ზოგიერთი გიჟმაჟი თანაკლუბელისგან განსხვავებით მშვიდი ოჯახური ცხოვრებით გამოირჩევა.

ხორვატიაში იციან, რომ მონაკოს პრინცი ალბერტია, მაგრამ მათ ფრანგულ სამთავროში საკუთარი პრინცი — დადო პრსო — ჰყავთ. სწორედ ასე, პრინცად მოიხსენებენ სამშობლოში „მონაკოს“ ფორვარდს

ცუდი დამრტყმელი და კარგი გამტანი



ხორვატიას დადო პრსოს (მარჯვნივ) გოლების იმედი აქვს

ოტო ბარიჩი საკმაოდ აკრიტიკეს, თუმც მან რამდენიმე უდავოდ სასარგებლო საქმე მაინც გააკეთა. მათ შორისაა დადო პრსოს გამოძახება ნაკრებში. დიდიე დეშანის შეგირდს ეროვნული გუნდის მაისურა არასოდეს მოერგო, მაგრამ ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ ყველაფერი შეცვალა.

გავიხსენოთ ისტორიული მატჩი ჩემპიონთა ლიგაში. „მონაკო“ — „დეპორტივო“ 8:3. რვიდან ოთხი გოლი დადო პრსომ გაიტანა და უმალ გაითქვა სახელი ევროპაში.

29 წლის ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშა; იქ ველარ გაიტანა გოლი, სამაგიეროდ, მანამდე პლეი ოფში, სლოვენიასთან გასვლით მატჩში იყოჩაღა და ხორვატებს ევრო 2004-ის საგზური არგუნა.

თმაგრძელი ფორვარდისთვის ავადსახსენებელია მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მონაკოში გაცუდებული პენალტი, მაგრამ მან იმავე მატჩში მაინც გაიტანა და დიდიე დეშანის გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა.

„მე აღარასოდეს შევასრულებ თერთმეტმეტრიან დარტყმას“ — თქვა მაშინ გაწბილებულმა თავდამსხმელმა.

აღსანიშნავია, რომ დადო პრსო ხორვატიის „ზადარში“, „ჰაიდუკსა“ და „პაზინკაში“ თამაშობდა, მაგრამ თავი გოლებით ვერ გამოიჩინა. ამიტომ წავიდა ფრანგულ „რუანში“, შემდეგ მეოთხე დივიზიონის „სენტ რაფაელში“, იქიდან კი „მონაკომ“ აიყვანა.

1998-99 წლების სეზონში „აიაჩოში“ გაანათხოვრეს და შემდეგ დაბრუნდა სამთავროს გუნდში.

ამჟამად დადო პრსო გლაზგოს „რეინჯერსის“ ფეხბურთელია. „ჩაფრებს“ ძალიან მოეწონათ მისი საამსეზონო გარჯა და ხორვატი ფორვარდი შეტევაში შოთა არველაძის მეწყვილე გახდება.

თუ გამოვიდა...



სტიპე პლეტიკოშა

სტიპე პლეტიკოშამ პირველი სანაკრებო მატჩი რომ ითამაშა, 20 წლის იყო, მეორე დღეს კი 21-ის შესრულდა, მაგრამ კარგა ხანი დასჭირდა ქვეყნის ეროვნულ გუნდში ადგილის მოსაპოვებლად.

სპლიტში დაბადებული და გაზრდილი პლეტიკოშა ამჟამად დონეცკის „შახტარის“ მეკარეა. მისი სანაკრებო დებიუტი 1999 წელს დანიასთან მატჩში შედგა და მაშინვე დაიმსახურა ქომაგთა ქება.

მიუხედავად ამისა, ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე პლეტიკოშას კარიდან გამოსვლისას დაშვებული უხეში შეცდომების გამო ხორვატები ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ.

გაჯავრებულმა მეკარემ გულიანად იშრომა საკუთარი ხარვეზების გამოსასწორებლად და მირკო იოზიჩის ყურადღება დაიმსახურა. იოზიჩმა იგი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე წაიყვანა.

ამჟამად სტიპე პლეტიკოშას 25 სანაკრებო მატჩი მოუგროვდა. 192-სანტიმეტრიანმა მეკარემ თავგამოდებული ვარჯიშის შემდეგ თამაში გაუმჯობესა, მაგრამ ხშირად, როცა ხორვატია ვინმეს მასპინძლობს, გულშემატკივრებს მაინც აკანკალებთ, პლეტიკოშა გამოსვლისას არ შეცდესო.

სტიპე პლეტიკოშას რამდენიმე ევროპული კლუბი ეპატიჟებოდა. მათ შორის იყო „მარსელი“, სადაც ამჟამად ფაბიენ ბარტეზი თამაშობს და რომელმაც გუნდი უეფას თასის ფინალში დაღუპა.

ხორვატი მეკარე 2001 და 2002 წლებში ქვეყნის საუკეთესოდ აღიარეს და შარშან დონეცკის „შახტარში“ გადაბარგდა. უკრაინულ კლუბთან მან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ამ ტრანსფერმა მისი სანაკრებო ადგილი მაინც ვერ შეარყია, მიუხედავად იმისა, რომ ოტო ბრიჩი ხშირად ავსტრალიაში დაბადებულ ჯონ დიდულიცას ამჯობინებდა.

გზა პორტუგალიამდე

VIII შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002 ---------- ხორვატია 0:0 ესტონეთი
12.10.2002 ---------- ბულგარეთი 2:0 ხორვატია
29.03.2003 ---------- ხორვატია 4:0 ბელგია
02.04.2003 ---------- ხორვატია 2:0 ანდორა
11.06.2003 ---------- ესტონეთი 0:1 ხორვატია
06.09.2003 ---------- ანდორა 0:3 ხორვატია
10.09.2003 ---------- ბელგია 2:1 ხორვატია
11.10.2003 ---------- ხორვატია 1:0 ბულგარეთი

საბოლოო ცხრილი

ბულგარეთი	8	5	2	1	13:4	17
ხორვატია	8	5	1	2	12:4	16
ბელგია	8	5	1	2	11:9	16
ესტონეთი	8	2	2	4	4:6	8
ანდორა	8	0	0	8	1:18	0

პლეი ოფი

15.11.2003 ---------- ხორვატია 1:1 სლოვენია
19.11.2003 ---------- სლოვენია 0:1 ხორვატია

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი

21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12

13 ივნისი

21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

14 ივნისი

21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

15 ივნისი

21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76

16 ივნისი

21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08

17 ივნისი

21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

18 ივნისი

21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88

19 ივნისი

21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

20 ივნისი

23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

21 ივნისი

23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02

22 ივნისი

23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

23 ივნისი

23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.გავა	6401 ჯგ.ვერ.გავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

CROCO BOOKMAKERS
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

შესაძლო
ცვლილებები
ადგილზე დაზუსტეთ

		1	X	2	1-X	1-2	X-2
	ჰოლანდია. პლეი-ოფი						
	3 ივნისი						
23.00	ვიტესი-სპარტა	1,6	3,4	4,8	1,08	1,2	1,99
23.00	ჰელმონდი-ვენლო	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
23.00	ვოლენდამი-ჰერაკლესი	6,0	3,8	1,15	2,32	1	1
23.00	ექსელსიორი-გრააფსხაპი	2,0	3,4	2,0	1,25	1	1,25
	ფინეთი. ვეიკაუსლიგა. VII ტური						
	3 ივნისი						
20.00	ჰაკა-ტპ 47	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
20.30	ლაჰტი-ჰაამეენლინა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
20.30	როვანიემი-მიუპა	3,2	3,2	2,05	1,6	1,24	1,24
20.30	ტურკუ-ტამპერე	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
20.30	კტპ-ინტერი	2,4	3,2	2,4	1,37	1,2	1,37
20.30	ალიანსი-ჰიკ	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
	ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. IV ტური						
	2 ივნისი						
01.00	ფილკირი-კეფლავიკი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
	აშშ. MLS. X ტური						
	2 ივნისი						
05.30	კანზასი-ნიუ ინგლენდი	1,7	3,1	4,8	1,09	1,25	1,88
	ევროპის ჩემპიონატი. 21 წლამდე						
	2 ივნისი						
21.15	შვეიცარია(21)-შვედეთი(21)	2,2	3,1	2,5	1,28	1,17	1,38
21.15	გერმანია(21)-პორტუგალია(21)	2,15	3,1	3,0	1,26	1,25	1,52
	მჩ შესარჩევი მატჩები (ს.ამერიკა)						
	2 ივნისი						
02.00	ეკვადორი-კოლუმბია	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
05.40	ბრაზილია-არგენტინა	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
	ამხანაგური მატჩები						
	2 ივნისი						
15.00	კორეა-თურქეთი	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
20.30	ჩეხეთი-ბულგარეთი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
23.45	ირლანდია-იამაიკა	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
23.45	შვეიცარია-გერმანია	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
04.30	აშშ.-ჰონდურასი	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
	3 ივნისი						
23.30	ლიხტენშტაინი-საბერძნეთი	20,0	6,0	1,03	4,61	1	1
	კალათბურთი. იტალია						
	2 ივნისი						
23.30	სკიპერი-სიენა	1,5	10,0	2,0	1,3	1	1,66
	კალათბურთი. ესპანეთი						
	2 ივნისი						
23.30	ტაუ-ესტუდიანტესი	1,2	10,0	3,5	1,07	1	2,59
	კალათბურთი. საბერძნეთი						
	2 ივნისი						
23.15	პანათინაიკოსი-მარუსი	1,12	10,0	4,4	1	1	3,05

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად
კროკოს
ბიუროები
მუშაობს
მხოლოდ აქვე
მითითებულ
მისამართებზე
და არსად სხვაგან.
ყველა სხვა
ქალაქში ან
დასახელებული
ქალაქები
სხვა მისამართზე
კროკოს
სახელის,
სიმბოლიკის,
კოეფიციენტების
გამოყენება
უკანონოა,
შპს კროკოს
არ ეხება
და მოქმედი
კანონმდებლობის
შესაბამისად
ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ძნელია, შეედავო იმ ხალხს, რომლებმაც გაზეთ „მთავარი გაზეთი — სპორტის“ გამოკითხვაში საქართველოს მე-13 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ბასკელი ცენტრი დავით ბერძენიშვილი დაასახელეს. „ბერძენა“ მთელი სეზონის განმავლობაში უერყევად იდგა მეტოქისა თუ თავისი გუნდის ფარქვეშ, საკუთარ ძალაში არავინ დაუეჭვებია და ფინალის შემდეგ დამსახურებულადაც წაიღო პირველმა საჩემპიონო თასი თავის უბანში, საიდანაც ვინ მოთვლის, რამდენი ლიტრა შეისვა „ბასკოს“ სადღეგრძელოდ. არადა, ზოგიერთმა „ბერძენას“ დოსტმა ამ თასს სახელურების წახერხვა დაუპირა, ოქრო თუნა, გადავადნობთო...

ბურაგ დოლოდაგიშვილის ფოტო

შაკილი იქა, ბერძენა აქა

ეროვნულის რჩეული ეროვნულში არჩევაზე ფიქრობს

— დავით, ეთანხმები იმ ხალხს, ვინც საქართველოს საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელა?

— რა ვიცი, რა გითხრა, ფინალური სერიის შემხედვარე პირველობას ირაკლი ბერძენიშვილი იმსახურებდა. ბოლოს მე ისე ველარ ვთამაშობდი, როგორც მანამდე...

— მაგაში მართალი ხარ, მაგრამ შენ სეზონის საუკეთესო გახდი და არა ფინალური სერიის...

— ალბათ ხალხი მართალია, ჩემით მწვრთნელიც კმაყოფილი იყო და მეც ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩავატარე.

— ტრადიციული კითხვა ბასკელებისთვის: ელოდი ჩემპიონობას?

— ვერ ვიტყვი, რომ დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში. აჭარაში მომხდარი ამბების შემდეგ, უფრო პესიმისტური განწყობა დამეუფლა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ გაჭირვებამ და უფულობამ მოგვაგებინა ჩემპიონატი. გუნდი ერთ მუშტად შეიკრა, ბოლომდე დავუდექით ერთმანეთს გვერდში და დამსახურებლად გავიმარჯვეთ.

— ყველაზე მეტად ვისთან გიჭირდა თამაში? ვინ იყო შენი მთავარი ოპონენტი?

— თუ ბოლომდე არ ვიხარჯები, ყველასთან გაგიჭირდება. მე მაინც კახა შენგელიას დავასახელებ, რადგან ის ზუსტად ჩემი სტილის ცენტრია. ის ძალიან მძიმეა და უყვარს ფარქვეშ ჯავგური. სხვები, ვთქვათ, დავით მუშკუდიანი ან ირაკლი ჯაფარიძე უფრო მსუბუქი ცენტრები არიან, ისინი პერიმეტრზე ადიან და იქიდან უტევენ. შენგელია კი სამწამიანის მოთამაშეა, ისევე როგორც მე.

— „ბასკოში“ შარშან წინაც იჩემპიონე, თუმც ახლა უფრო მეტი გაიღე გამარჯვებისთვის...

— ეს იმიტომ, რომ შარშან თურქეთში თამაშმა ძალიან დიდი გამოცდილება შემმატა. „თედ კოლეჯში“ მე ევროპის უმაღლესი დონის ცენტრებთან ვთამაშობდი და იქიდან მობრუნებულს თამაში გამიადვილდა.

— საკმაოდ გამოცდილი მოთამაშე ხარ და კარიერაში შენს მწვერვალად რას მიიჩნევ?

— სხვათა შორის, ბევრი ამბობს, რომ ბერძენიშვილი დაბერდაო, რაც არასწორია. მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სიტყვა, მინდა, კიდევ უფრო მეტს მივაღწიო. საქართველოს ჩემპიონობა და თურქული ლიგაში თამაში არაა ჩემი მაქსიმუმი, უფრო მეტს ვგეგმავ.

— ევროპაში თამაშს გულისხმობ?

— თუნდაც, მაგრამ ჯერ სანაკრებო წარმატებას უნდა მივაღწიო. მინდა, საქართველოს სახელით ვითამაშო და ძლიერი მეტოქეები დავამარცხო..

— ამისთვის საკმაო შრომა გმართებს. საქართველოს ნაკრებში ახლა დიდი კონკურენციაა...

— ეგ მართალია, კონკურენტი არაერთია და ღირსეული. სტეფანიასა და ფაჩულიას „4 ნომერზეც“ შეუძლიათ თამაში, ცქიტიშვილიც უფრო პერიმეტრის მოთამაშეა, რა ვიცი, თუ მთელი გულით მოვინდომებ, მიუღწეველი არაფერია. ნაკრების კანდიდატი ვარ, 25 ივნისს შეკრებას ვიწყებთო, მითხრა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა. ვნახოთ...

— ჭაბუკობაში შენ საკმაოდ პერსპექტიული კალათბურთელი იყავი. ფიქრობ, რომ ახლა უფრო კარგ გუნდში უნდა გეთამაშა?

— ალბათ კი. ჩემს დროს ასე თავისუფალი არ იყო საზღვარგარეთ წასვლა. უფრო სწორედ, ვერც ვერავინ მიდიოდა უცხოეთში. ჩვენი თაობა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხანის უკანასკნელ თაობად შეიძლება ჩაითვალოს, ვფიქრობ, უფრო მეტს იმსახურებდა. რევაზ ჩხეიძე, ირაკლი ხოშტარია, არჩილ ჟღენტი, ვაკო ბეჟანიშვილი — ამ ბიჭებს დღეს უკეთეს კლუბებში უნდა ეთამაშათ, მაგრამ დრომ არ შეუწყო ხელი. ვატო ნაცვლიშვილის ადგილი კი ნბა-ში იყო, მაგრამ...

— ვის მიიჩნევ საუკეთესო კალათბურთელად?

— შაკილ ონილს, მაგრამ ის არაა იდეალური მოთამაშე. შაკს რომ საბონისის გონება და სროლა მისცა, უნივერსალური კალათბურთელი იქნებოდა. საერთოდ, იდეალური მოთამაშე ასეთი იქნებოდა: ევროპის ყველაზე ჭკვიანი და ნბა-ს ყველაზე ათლეტური კალათბურთელის ნაზავი.

— რატომ, ამერიკელებს ნაკლები აზროვნება აქვთ?

— არა, მაგრამ ევროპული საკალათბურთო აზროვნება სულ სხვაა. ნბა-ში ახლა დაინერგა ზონური დაცვა და ამის კვალზე ნირგვარი წმინდა საკალათბურთო ტაქტიკა-კომბინაციები. მანამდე იქ ერთი-ერთზე თამაშობდნენ, კაცს მოატყუებდნენ და ისროდნენ. ევროპელი კი უფრო შემოქმედებითად უდგება საქმეს. ახლა არაა ნბა-ში ევროპელების ბუმი?! ისინი, ზოგჯერ ისეთ რამეს გააკეთებენ, ამერიკელი პირღია რჩება.

— ესე იგი, შაკილ ონილი მოგწონს, ვისაც მოფერებით კეთილ გოლიათს ეძახიან. ბევრის თქმით, საქართველოში შენ ხარ კეთილი გოლიათი, „ბერძენას“ ჩხუბი კაციშვილის არ ახსოვს...

— საქართველოს ჩემპიონატში არც მიჩხუბია და არც ვიჩხუბებ. აქ საჩხუბარი არაფერია. მოედანზე თუ რამე ინციდენტი მოხდება, გარეთ ყველა ყველას ეხუტება. კალათბურთელებს, ვისთან ერთადაც გავიზარდე, ხელს ვერ დავარტყამ.

— კი მაგრამ, ნასვამსაც არ მოგინდება ხოლმე ხელის გაქნევა?

— ზომიერად ვსვამ და თავს ვაკონტროლებ. ბევრის დალევა შემიძლია, მაგრამ თავს ბოლომდე არასდროს ვიდებ.

— საჩემპიონო თასი პირველმა შენ წაიღე შინ და მეორე დღეს უქეიფოდ იყავი...

— „ბასკოს“ საჩემპიონო თასიდან მართლაც ბლომად ღვინო თუ შამპანური შეისვა. მეც საკმარისად ვსვი, თუმც სანამ ქეიფს შევუდგებოდით, უბანში რომ შევედი, ძმაკაცებმა ეგრევე ის თქვეს, თუ ოქროსია, სახელურები მოვხერხოთ და გადავადნოთო. მეც ხუმრობითვე ვუპასუხე, ეს რომ ოქროსი იყოს, როგორ ფიქრობთ, აქ მოვიტანდი-მეთქი...

— ბარემ, ერთი კურიოზიც გაგეხსენებინა ბოლოსთვის...

— ბევრი კურიოზი კი შემმთხვევია, მაგრამ ახლა ეს გამახსენდა: ისრაელში ვიყავით ნაკრები და მე ოთახში ირაკლი ბაქრაძესთან მოვხვდი. პირველ ღამეს ნომერში მარტოს მომიწია მისვლა და დაღლილს მალევე ჩამეძინა. ჩვენმა ცხონებულმა თანაგუნდელმა ირაკლი ვაშაკიძემ, რომელიც სულ რაღაც ოინს იგონებდა, სანამ ბაქრაძე ოთახში შემოვიდოდა, ასეთი რაღაცა მოიფიქრა: შემოვიდა და მძინარეს ხელში იატაკის საწმენდი ჯოხი დამაჭერინა. მერე ოთახიდან გავიდა და დერეფანში ელოდებოდა ირაკლი ბაქრაძეს. ჩემი თანამეოთახე რომ შემოვიდა, გაოცდა და უკან გავიდა, სადაც ვაშაკიძემ კიდევ უფრო გადარია — „პოლის ჯოხი“ უჭირავს ხო? ეგრე იცის და შუა ღამისას ქნევას დაიწყებსო. ბაქრაძე იმ ღამეს ოთახში აღარ შემოსულა...

ირაკლი პერტაია

2004 NBA Playoffs

კონფერენციის ფინალი

ლეიკერსს ლეიზერსისა

მგლებს რაში გულზე დაადგათ

31 მაისი

დასავლეთი

მინესოტა 2:3 ლეიკერსი

ლეიკერსი 96:90 მინესოტა

ლეიკერსი: პეიტონი (7), ბრაიანტი (20), ჯორჯი (4), მელოუნი (10 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ონილი (25 ქულა, 11 მოხსნა); რაში (18), მედვედენკო (8), ფიშერი (4), ფოქსი, კუკი

მინესოტა: მარტინი (8), ჰასელი (11), სპრიუელი (27), გარნეტი (22 ქულა, 17 მოხსნა), ოლოვოკანდი (2); შჩერბიაკი (13), ჰოიბერგი (4), მადსენი (3), ჯონსონი, მილერი

გააჩერე შაკილ ონილი, თუ ბიჭი ხარ! „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყველა მეტოქის მწვრთნელი საგანგებოდ აწვალებს ტვინს ამაზე. ზოგს რაღაც გამოსდის.

თუ შაკილ ონილი გააჩერე, გმირი ხარ, ოღონდ დამარცხებული გმირი, რაკი ვინც შაკს გადაჰყვა, იმას კობი ბრაიანტმა 30 ქულა ჩაუგდო.

დავუშვათ, კობიც ვერ არის თამაშის ხასიათზე. ასეც ხომ ხდება ხანდახან! ვითომ ყველა პრობლემა ამით ამოიწურება? „ლეიკერსის“ მეტოქეთა სავალალოდ, ამ გუნდს სხვაც ბევრი ჰყავს, ვისაც მოწინააღმდეგისთვის პასუხის გაცემის შნო აქვს — მაგალითად, კარლ მელოუნი და გერი პეიტონი. მათ, ვინც ბედმა ამ ამალას შეაჯახა, ისღა დარჩენიათ, თავი ინუგეშონ, რომ ბებერ მელოუნსა და თითქმის ბებერ პეიტონს ასაკი არ მისცემს 10-15 ქულაზე მეტის ჩაგდების საშუალებას.

ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ „ლეიკერსის“ მეტოქემ ვერ მოიგოს.

„მინესოტა ტიმბერვულვზმაც“ დასავლეთის ფინალური სერიის მეექვსე მატჩში ამ ასთავიან დევს ლამის ყველა თავი მოაჭრა და თითქმის მოიგო... ანუ წაგო და პლეიოფიდან გავარდა.

ამდენი საფიქრალით თავდამძიმებულმა „მინესოტას“ ტაქტიკოსმა ფლიპ სანდერსმა ერთი რამ ვერ გათვალა — კი, ბატონო, ფილ ჯეკსონს ყოველთვის ჰყავს ვარსკვლავები, მაგრამ არასდროს რჩება მხოლოდ მათ იმედზე და კოსტუმის სახელოში მუდამ აქვს გადამალული პატარა იარაღი. ხშირადაც გამოუყენებია — 1993 წელს „ფინიქსთან“ ფინალში მოედანზე ჯორდანიც იყო და სხვა სნაიპერებიც, მაგრამ გამარჯვების სამქულიანი თითქმის უცნობმა ჯონ პაქსონმა ჩააგდო; 1997 წლის ფინალში „იუტას“ ასევე სათადარიგო თეთრმა სტივ კერიმ ჩასცა 3-ქულიანი ლახვარი; 2002 წელს დასავლეთის ფინალში „საკრამენტოსთან“ გადამწყვეტი ჭურვი რობერტ ჰორიმ გაისროლა; ახლა კი ჯეკსონმა ამ საიდუმლო იარაღად ქარიმ რაში გამოიყენა. გაგიგიათ, ვინ არის? ჩვენ გაგვიგია, მაგრამ მასზე თითქმის არაფერი ვიცით.

რაში არსაიდან გამოძვრა და ამ თამაშში ექვსი სამქულიანი ჩააგდო. „მინესოტა“, ასე თუ ისე, უმკლავდებოდა ლიგის 14-გზის ჩემპიონს და ბოლო მეოთხედის დასაწყისში ორიოდ ქულით წინაც გახლდათ, თუმც კობი ბრაიანტმა და ამ რაშმა ერთი მონაკვეთი 15:6 მოუგეს მუდმივი სტრესით და დაძაბულობით გათანგულ „მგლებს“ და წინაც გავიდნენ. ხოლო ბოლო წუთებში ილაჯგაწყვეტილმა კევინ გარნეტმა და მისმა რაზმმა ბოლო შტურმის მოსაწყობად ბოლო ძალა რომ მოიკრიბეს, ახლა უკრაინელმა სტანისლავ მედვედენკომ ჩააგდო ორი მნიშვნელოვანი ბურთი და „ლეიკერსი“ ბოლო ხუთ წელიწადში მეოთხედ გავიდა ფინალში.

ასე გაუხუნდა ჩემპიონობაზე ოცნება სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს კევინ გარნეტს და პლეიოფში ამსიშორეზე პირველად შემოსულ „მინესოტას“. „მგლები“ სინანულით მოიგონებენ, ჩვენს გამთამაშებელს სემ კასელს რომ წელი არ ასტკივებოდა, ამას და იმას ვიზამდითო. იქნებ ესეც თქვან.

იქნებ არც თქვან კიდეც.

„ლეიკერსი“ კი ფინალშია და ერთი-ორი დღე აღმოსავლელ მეტოქეს მოუცდის. ამ კონფერენციაში ჩემპიონობისთვის ასევე დაძაბულ სერიაში „დეტროიტი“ 3:2 ამარცხებს „ინდიანას“ და ალბათ დაამარცხებს კიდეც — სერიის მეექვსე მატჩს თავად მასპინძლობს.

„დეტროიტი“ ბოლოს 1990 წელს გავიდა ფინალში, პირველად კი 1989 წელს და, სხვათა შორის, მაშინ სწორედ „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ დასცა საჩემპიონო სერიაში და, სხვათა შორის, 4:0 ანგარიშით.

კოტე ყორშია



REUTERS ლოს ანჯელესიდან

შაკილ ონილი, გერი პეიტონი და კარლ მელოუნი უკვე ფინალზე ფიქრობენ

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 13 263 280 €

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი არგენტინული კარე

როლან გაროსს გაუჩოები შეესივნენ

ისტორიას არ ახსოვს ისეთი რამ, რომ რომელიმე სლემტურნირის მეოთხედფინალში ერთბაშად ოთხი არგენტინელი მეჩოგნე გასულიყოს. წლეულს კი ამასაც მოვესწარით — ამქრის ერთ-ერთ უჩაუქეს მეთიხნარე გილერმო კორიას ჩოგნები კაცურად აუბეს ხუან იგნასიო ჩელამ, გასტონ გაუდიომ. დავიდ ნალბანდიანმა და პრეცედენტიც გახერხდა.

ეგ კი არა, გაუჩოებმა ეგებ სულ მთლად შიდაარგენტინული ნახევარფინალებიც გაჩარხონ, ოღონდ საამისოდ იმავ კორიას კარლოს მოიასი, იგნასიო ჩელას — ტიმ ჰენმანის, გაუდიოს — ლეიტონ ჰიუიტის, ხოლო ნალბანდიანს გუსტავო კუერტენის ძლევა სჭირდებათ.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი არგენტინელი, ვინაც კაცთა რაგინდარა სლემტურნირი მოიგო, ლეგენდარული გილერმო ვილასი იყო — მან 1979 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა. არგენტინელთაგან ბოლოჯერ მანვე მოიგო როლანგაროსობაც — ეს 1977 წელს მოხდა.

გაუჩოთა ასეთ საბითუმო ლაღობაზე ჩვენი დასავლელი კოლეგები იმ დღეს დავიდ ნალბანდიანსა და გასტონ გაუდიოს გაესაუბრნენ

REUTERS პარი ზიდან

დავიდ ნალბანდიანი

— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა არგენტინელ მეჩოგნეთა ასეთი წარმატებული გამოსვლა წლევანდელ როლან გაროსზე?

ნალბანდიანი: — ო, ეს მართლაც წარმოუდგენელი მიღწევაა. ასეთი რამ ყოველ დღე მართლაც არ ხდება. მაგრამ, თუკი თვალს მთელ სეზონს, განსაკუთრებით სათიხნარო პერიოდს გავადევნებთ, ჩვენი მეჩოგნეების ასეთი წარმატება ეგებ არც ისეთი გასაკვირი გამოჩნდეს. არგენტინელები ხომ ნიადაგ არიან ტურნირთა ნახევარფინალებსა და ფინალებში, გამორჩევით კი მაინც თიხნარზე, რაიც, არავისთვის საიდუმლო არ არის, ჩვენი ფავორიტი საფარია... იმედი მაქვს, ნახევარფინალში უკვე მარტო ჩვენ ვიქნებით.

— თქვენ პირველად შესძელით, მარატ საფინს გასცდენოდით. რას მიაწერთ ამ ამბავს?

— წინა წრეებში მას ჩემზე ხანგრძლივი მატჩების ჩატარება მოუხდა. ცუდად არც მე მითამაშია, განსაკუთრებით კი მეოთხე სეტში, როცა ყველაფერი მართლაც კარგად გამომივიდა.

— თქვენ აქამდე ყველა სლემტურნირის მეოთხედფინალში გითამაშიათ, აქ კი პირველად გახვედით. რა შეიცვალა თქვენ თამაშში ისეთი, რამაც ამის გაკეთება შეგაძლებინათ?

— მონტე კარლოდან მოყოლებული ამ ტურნირისთვის ვემზადებოდი. ყველაფერი ვცადე, თიხნარს ბოლომდე რომ გავჩვეოდი. არაფერი შემიცვლია, უბრალოდ, მეტი ვიშრომე. ამ ტურნირზე უფრო მშვიდად ვთამაშობ, ნაკლებად ვცდები, ფიზიკურადაც მაგრად ვარ...

— ახლა გუსტავო კუერტენს ხვდებით. როგორ ფიქრობთ, რა არის მისი ყველაზე ძლიერი მხარეები?

— მას ძალიან კარგი მოწოდება აქვს. იგი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და ჩაუქი მეუკანახაზეა, საერთოდაც, ძალზედ სახიფათო მეჩოგნეა. თუმცა მისი დამარცხება სულაც არ არის წარმოუდგენელი.

— ოთხშაბათს მეორე დიდი არგენტინულ-ბრაზილიური შეხლაა, თქვენი საფეხბურთო ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იომებენ. ანგარიშს ხომ ვერ ივარაუდებთ?

— იმედია, 2:0 მოვიგებთ.

— ესპანელმა ყმაწვილმა რაფაელ ნადალმა ტურნირზე გამოსვლა ტრავმის გამო ვერ შეძლო, ხუან კარლოს ფერეროს კი იმავე მიზეზით მეორე წრიდან მოუხდა აბარგება. ფიქრობთ, რომ არგენტინული სკოლა ახლა ესპანურზე ძლიერია?

— ეს ხომ მხოლოდ აქ მოხდა, ერთი ტურნირის მიხედვით კი ასეთ განყენებულ დასკვნებს ვერ გააკეთებ. მე ვფიქრობ, რომ არგენტინაც და ესპანეთის ახლა ძალიან ძლიერებია. ჩვენ ორივეს ბევრი მეჩოგნე გვყავს ზეასეულშიც, ზეორმოცდაათეულშიც და ზეოცეულშიც. თუმცა ამ მომენტისთვის ჩვენ მაინც პირველები ვართ. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ბოლო დროს უფრო მეტი ვიშრომეთ.

— გასტონ, მეოთხედფინალში ლეიტონ ჰიუიტთან მოგიწევთ ბრძოლა. მასთან ადრეც გითამაშიათ და ეს ყოველთვის დაძაბული მატჩები იყო. ახლა რას ელით?

გაუდიო: — ცხადია, ასეთსავე მძიმე შეხლას. მით უფრო, რომ სლემტურნირზე მას არსად შევხვედრივარ.

— ის ახლა საუცხოო თიხნარფორმაშია. ეს ხომ არ გაშფოთებთ?

— ცოტა არ იყოს — კი. თუმცა მას ორი კვირის წინ, დიუსელდორფში, გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზეც შევხვდი და მოვუგე. ასე რომ, საქმე ისე ცუდადაც არ არის.

— წარმოიდგენდით, რომ მეოთხედფინალში ოთხი არგენტინელი გავიდოდა? რა შეგიძლიათ თქვათ ამის შესახებ?

— ამას ვერასოდეს ვიფიქრებდი. ისე კი რა უნდა ვთქვა, დიდებული ამბავია და იმედია, ოთხივე ნახევარფინალამდეც მივატანთ.

— რას ნიშნავს თქვენთვის პირველ როლანგაროსულ მეოთხედფინალში გასვლა?

— ეს ტურნირი ალბათ ყველაზე მეტად მიყვარს, ასე რომ, ახლა ბედნიერი ვარ. ჩვენში ხომ ყველა პატარა ბიჭი პირველ რიგში სწორედ როლანგაროსობის მოგებაზე ოცნებობს.



REUTERS პარი ზიდან

გასტონ გაუდიოს არცა სჯერა, მეოთხედფინალში რომ მოხვდა

1 ივნისი

კაცები

მეოთხედფინალი

გილერმო კორია (3, არგენტინა) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 7:5, 7:6 (7:3), 6:3
ტიმ ჰენმანი (9, ბრიტანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (22, არგენტინა) 6:2, 6:4, 6:4

ქალები

მეოთხედფინალი

ჯენიფერ კაპრიატი (7, აშშ) — სერენა უილიამსი (2, აშშ) 6:3, 2:6, 6:3
ელენა დემენტიევა (9, რუსეთი) — ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) 6:4, 6:3
ანასტასია მისკინა (6, რუსეთი) — ვინუს უილიამსი (4, აშშ) 6:3, 6:4
პაოლა სუარესი (4, არგენტინა) — მარია შარაპოვა (14, რუსეთი) 6:1, 6:3

ბულგარული ენდშპილი

ჩიბურდანიძემ ფინალი ძაგნიძის მძლეველს დაუთმო

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

ნახევარფინალი

ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი) — ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 1:0 (0:1) ტაი-ბრეიკი (0:1, 0,5:0,5)

მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 0:1 (0,5:0,5)

ფინალი

სტეფანოვა — კოვალევსკაია





ანტოანეტა სტეფანოვამ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე დაამარცხა

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ პირველი პარტია ანტოანეტა სტეფანოვასთან შავი ფიგურებით ყაიმით დაასრულა და ქართველ დიდოსტატს სპეციალისტები წინასწარ თვლიდნენ ფინალისტად, თუმც გუშინ, განმეორებით მატჩში ყველაფერი აირია და პატარა სენსაციაც გამოცხვა. მატჩის ანტიგმირი, სამწუხაროდ, ჩვენებური გამოდგა.

სტეფანოვა უკვე ფინალშია და, შეიძლება ითქვას, მან ამას ქართველების ხარჯზე მიაღწია. ჩიბურდანიძემდე ბულგარელმა დიდოსტატმა 17 წლის ნანა ძაგნიძეს აჯობა.

რაც შეეხება ჩიბურდანიძე — სტეფანოვას პარტიას, ქართველმა საკუთარ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და დებიუტი ლაზიერის ფლანგიდან არჩია. ბულგარელი აგრესიულად ჩაერთო თამაშში — სტეფანოვამ, ხელსაყრელი მომენტი ნახა თუ არა, ფიგურების გაცვლას შეუდგა და 22-ე სვლაზე პაიკით გავიდა წინ. ფიგურათა განლაგებითაც სტეფანოვას პოზიცია აშკარად სჯობდა ქართველისას და უცხოელმა 12 სვლაში მეორე პაიკიც მოიგო. უმრავლესობაში მყოფმა შავებმა ლაზიერის ფლანგიდან პაიკის გაყვანა დაიწყეს. ჩიბურდანიძე, ჯერ შემტევ პაიკთა სამეულს დაუპირისპირდა, შემდეგ კი შავების ხელმწიფეს შეუტია, თუმც ვერც ერთ ფლანგზე იხეირა და 55-ე სვლაზე ფინალის საგზური მეტოქეს დაუთმო.

მეორე გამარჯვებულის გამოსავლენად ორი პარტია არ ეყოთ კოვალევსკაიასა და კონერუს. ფინალში მოსახვედრად მათ ტაი-ბრეიკში გააგრძელეს ბრძოლა. ტაი-ბრეიკის პირველი ბლიც-პარტია კოვალევსკაიამ მოიგო, მეორეში კი შინ ზავს მიაღწია და ფინალშიც ის გავიდა. ამგვარად, საჩემპიონო წყვილი სლავური იქნება — ბულგარელი სტეფანოვა რუსი კოვალევსკაიას წიგააღმდეგ.

ლაშა გეგეჭკორი

სპორტსმენები გვყავს, ფულიც არის

ქართველები ათენში ჩაცმულები, მომზადებულები და მოწადინებულები ჩავლენ

ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის შარშან დაწყებული დავა პრაქტიკულად დასრულდა. სადაცაა თავად ოლიმპიური ბატალიებიც კარს მოგვადგება. ამიტომაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს კიდევ ერთხელ მივადექით „ოლიმპიური" კითხვებით



ბადრი ჯიბლაძის ფოტო

— ბატონო ემზარ, თქვენთან მოსვლამდე ოლიმპიურ ლიცენზიანტთა სიას გადავხედეთ და რამდენიმე კითხვა გაგვიჩნდა. სიაში არაა კლასიკური სტილის მოჭიდავე ბადრი ხასაია. არადა, საქართველოს ჭიდაობის მესვეურები დაჟინებით იმეორებენ, ხასაია ათენში იჭიდავებსო. იმ სიაში ხასაიას სახელი ხომ არ გამოგრჩათ?

— ჩვენ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ დოკუმენტებს ვეყრდნობით. სამწუხაროდ, იქ ხასაიას გვარი არ ფიგურირებს. ბადრი ხასაიაზე საათენოდ ყველანი დიდ იმედებს ვამყარებთ. იგი შარშანწინ ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

სამწუხაროდ, ხასაიას შარშან ავადმყოფობის გამო ჩავარდნა ჰქონდა — საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა საუკეთესო ათეულში, რაც ოლიმპიურ ლიცენზიას იძლეოდა. ამის მერე, მას ლიცენზიის მოსაპოვებლად ერთი შანსიღა დარჩა... მაგრამ, გეხსომებათ, ტაშკენტში ეს შესაძლებლობა მსაჯების ცუდი აქტიურობის გამო დაკარგა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა ყველაფერი გააკეთეს, რათა სამართლიანობა აღდგენილიყო. შესაბამის ინსტანციაში შესაბამისი პროტესტიც გაიგზავნა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ძალისხმევამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ასეა. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დანაკლისია, მაგრამ მინდა გავამხნევო ბადრი ხასაია და ვუთხრა, რომ ამ წარუმატებლობით ჯერ არაფერი დამთავრებულა. მან ხელი არ უნდა ჩაიქნიოს, რადგან ახალგაზრდაა და მომავალიც წინა აქვს.

თუმცა, ჯერ კიდევ ღვივის იმედის ნაპერწკალი. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ხასაიას იქნებ თავის სარეზერვო ადგილებიდან დაუთმოს ლიცენზია. და თუ ეს მოხდა, მაშინ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები ათენში სრული გუნდით წარდგებიან ისევე, როგორც ჩვენი ძიუდოისტები. ასეთ მიღწევამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ ჩვენს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებსაც.

— ოლიმპიურ სიაში მოცურავე ზურაბ ხომასურიძის გვარის ამოკითხვამ გაგვაკვირვა. კი მაგრამ, მან რომელ შეჯიბრებაში დაიმსახურა ოლიმპიური ლიცენზია?

— ბაზისურ, სტრატეგიულ სახეობებში, მათ შორის მძლეოსნობასა და ცურვაში საერთაშორისო ფედერაციებს შეუძლიათ შესაბამისი ეროვნული ორგანიზაციების არგუმენტირებული, დასაბუთებული თხოვნა გაითვალისწინონ და გასცენ ეგრეთ წოდებული „ველური ბარათი". ხომასურიძის შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა.

ცურვა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული სახეობაა. ამასთან, ამ სახეობაში გვყავდა ოლიმპიური თამაშების არაერთი მონაწილე, მათ შორის ფინალისტები და პრიზიორიც. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ობიექტურ მიზეზთა გამო ამ სახეობის განვითარება ძალზე შეფერხდა. ჩვენდა გასახარად, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილა. ჩემი აზრით, ამ ორგანიზაციამ ჩვენი საწყალოსნო სახეობათა წარმომადგენლების ოლიმპიურ წარსულთან ერთად ისიც გაითვალისწინა, რომ საქართველოს მოცურავეები ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ისინი შესაბამის დონეზე არიან მომზადებულნი. ოღონდაც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ათენში მოცურავეთა შეჯიბრებაზე მედალს ან თუნდაც ფინალურ გაცურვაში მოხვედრას ველით. ათენში მოცურავეთა ასპარეზობაში მონაწილება ჩვენ სამომავლოდ უფრო გვჭირდება, რაც ამ სტრატეგიული სახეობის განვითარებას ხელს შეუწყობს.

საერთოდ, საქართველოს საწყლოსნო სახეობებში უკვე შეინიშნება წინსვლა. გვყავს რამდენიმე იმედისმომცემი მოცურავე, რომლებიც გაისად ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე გამოვლენ. გვყავს წყალში მხტომელთა სასკოლო ასაკის კარგი თაობა, რომელიც ალბათ პეკინის თამაშების ლიცენზიებისთვის იბრძოლებს. იგივე ითქმის წყალბურთელებზეც...

— რაკი ცურვასა და მძლეოსნობას სტრატეგიულ სახეობებად მიიჩნევთ, აქვე იბადება კითხვა — რა დააშავეს „სპორტის დედოფლის" წარმომადგენლებმა? მძლეოსნებისთვის რატომ აღარ მოითხოვეთ ის „ველური ბარათი"?

— „სპორტის დედოფალს" არაფერს ვერჩით. სამწუხაროდ, ცურვისა არ იყოს, ბოლო წლებში მძლეოსნობაშიც ძალზე გაგვიჭირდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უიმედოდ ვართ. ყოველ შემთხვევაში, მძლეოსნობაში სალიცენზიო ასპარეზობები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობა გვაიმედებს, რომ ისინი ათენში ორი სპორტსმენით წარდგებიან.

— ხშირად იმეორებდით, ათენში ჩვენი მშვილდოსან ქალთა ნაკრები ალბათ სრულად დაკომპლექტებული წარდგება და გუნდურ პირველობაში ასპარეზობის შანსიც მიეცემაო. მაგრამ საათენო ლიცენზიანტთა სიაში სამის ნაცვლად ორი სპორტსმენის გვარია აღნიშნული.

— სამწუხაროდ, ბელგიაში გამართულ სალიცენზიო ასპარეზობაში იმედები ვერ გაგვიმართლა ხათუნა ქერვიშვილ-ლორიგმა და ოლგა ლადიგინამ. ასე რომ, ეტყობა ხათუნა ნარიმანიძესა და ქრისტინა ესებუას მხოლოდ პირად პირველობაში მოუწევთ ასპარეზობა.

— ესებუა კი გაგვიგონია. ვიცით, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილია და უკრაინაში ცხოვრობდა, წლევანდელამდე მათი სახელით გამოდიოდა და საკმაო წარმატებითაც. მაგრამ ნარიმანიძე ვინღაა?

— ესებუა მართლაც ძალზე პერსპექტიულია და ტურნირიდან ტურნირამდე აუმჯობესებს შედეგებს. ხათუნა ნარიმანიძე კი ივიეე ხათუნა ფუტკარაძეა, რომელსაც გულშემატკივრები უფრო ამ გვარით იცნობენ. ხათუნა ქმრის, ფუტკარაძის გვარით გამოდიოდა ატლანტასა და სიდნეიში, მსოფლიოს ჩემპიონატზე და ევროპისაზეც, სადაც 2000 წელს მეექვსე იყო. ახლა იგი კვლავ თავის გვარზე გადავიდა და ნარიმანიძე გახდა. ასე რომ, მისთვის ათენში მესამე ოლიმპიური თამაშები იქნება.

— ეტყობა, ათენში 30 სპორტსმენით ვიასპარეზებთ. გაკმაყოფილებთ ეს რაოდენობა?

— ვფიქრობ, რომ დღევანდელი პირობების გათვალისწინებით ეს სავსებით ნორმალური შედეგია. მით უმეტეს, რომ ლიცენზიანტები თერთმეტი სახეობის წარმომადგენლები არიან. თუმცა, ლიცენზიანტთა რაოდენობა, ვიმეორებ, შეიძლება ორი-სამი კაცით გაიზარდოს.

— მაინც, რას ელით ათენის ოლიმპიური თამაშებისგან?

— იმ 30 ლიცენზიანტთა შორის ხუთი ოლიმპიური ჩემპიონი ან პრიზიორია. ამას გარდა, ოცამდე სპორტსმენს მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოუპოვებია, ასე რომ, თხუთმეტამდე კაცს შეუძლია მედლისთვის იბრძოლოს, ოღონდაც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველანი მიზანს მიაღწევენ. ასეთი ალბათ, ხუთი-ექვსი სპორტსმენი იქნება.

— და რით გაახარებს სახელმწიფო ჩვენს გამხარებელ სპორტსმენებს?

— რა თქმა უნდა, პრიზიორებისა და მათი მწვრთნელებისთვის გათვალისწინებულია მატერიალური წახალისება. მაგალითად გამარჯვებული სპორტსმენი მიიღებს 50 ათასი დოლარის ექვივალენტს ლარებში. მეორე პრიზიორი 30, მესამე კი 20 ათასი დოლარის შესაბამის ლარებს.

— აკი ამბობდით, გამარჯვებული 200 ათას ლარს მიიღებსო?

— ვამბობდით და ასეკაა. 50 ათასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საპრიზო თანხაა. ცნობილი მეცენატი, საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილი კი სწორედ 200 ათას ლარს ჰპირდება იმათ, ვინც ოლიმპიურ ჩემპიონობას მოიპოვებს. შესაბამის პრემიებს პირდება მეორე და მესამე პრიზიორებსაც.

დიდი მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ოლიმპიურმა ფონდმა ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით ბოლო ორწლინახევრის განმავლობაში მხოლოდ ოლიმპიურ მოძრაობაში ჩადო 4,5 მილიონი ლარის ინვესტიცია, რომელმაც ფაქტობრივად განაპირობა ქართველ სპორტსმენთა ნორმალური მზადება საათენოდ.

— ასეთი პრემიები მართლაც მოუხდებათ მომავალ ოლიმპიურ პრიზიორებს, მაგრამ ისინი ალბათ, საათენოდ სათანადოდაც იქნებიან ჩაცმულ-დახურულნი. როგორ გადაწყდა ჩვენი დელეგაციის წევრთა საღლუმო თუ საასპარეზო ჩაცმადახურვის საკითხი?

— ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის წევრებს თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალზე უზრუნველყოფს სამოდელო სახლი „ავთანდილ ცქვიტინიძე". ვფიქრობ, ეს იქნება ძალზედ მოხდენილი, ეფექტური და თავისუფალი მანერით შეკერილი სამოსი, რომელიც განსხვავდება იმისგან, რომელიც ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გვქონდა. ჩვენი სპორტსმენების სპორტულ ეკიპირებას იაპონია-საქართველოს ასოციაციის დახმარებით უზრუნველყოფს იაპონური სპორტული ფირმა „ASICS", საშეჯიბრო ფორმით კი „ადიდასი" მოგვამარაგებს. ვფიქრობ, რომ ყოველივე ამით ჩვენი დელეგაციის წევრები არავის ჩამოუვარდებიან.

ავთანდილ გურასაზვილი

ავთანდილ ცქვიტინიძის ფოტო

ქართველები ათენში

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (6 ლიცენზია): ირაკლი ჭოჭუა, აკაკი ჩაჩუა, მანუჩარ კვირკველია, მუხრან ვახტანგაძე, რამაზ ნოზაძე, მირიან გიორგაძე

თავისუფალი ჭიდაობა (6): დავით პოღოსიანი, ოთარ თუშიშვილი, გელა საღირაშვილი, რევაზ მინდორაშვილი, ელდარ კურტანიძე, ალექსი მოდებაძე

ძიუდო (7): ნესტორ ხერგიანი, დავით მარგოშვილი, დავით ქევხიშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, ზურაბ ზვიადაური, ივერი ჯიქურაული, ლაშა გუჯეჯიანი

კრივი (2): კონსტანტინე კუპატაძე, ნიკოლოზ იზორია

ცურვა (1): ზურაბ ხომასურიძე

სპორტული ტანვარჯიში (1): ილია გიორგაძე

ბატუტზე ხტომა (1): რუსუდან ხოფერია

მშვილდოსნობა (2): ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინა ესებუა

სროლა: ნინო სალუქვაძე

ძალოსნობა (2): გიორგი ასანიძე, არსენ კასაბიევი

ჩოგბურთი (1): ირაკლი ლაბაძე

ოკეანგაღმელი ქართველი მოკრივეები — კობა გოგოლაძე, რამაზ ფალიანი, შალვა ფალიანი და ავთო ხურციძე მომავალ სარეიტინგო თუ სატიტულო ბრძოლებს ახალი მენეჯერის ხელქვეშ ჩაატარებენ. ბერძენი მაიკ მაიკლის ადგილი იტალიელმა დაკ პასკვინიმ დაიკავა. ქართულმა კვარტეტმა საცხოვრებელი ადგილიც შეიცვალა და სავარჯიშო დარბაზიც.

უფრო დაწვრილებით კი მომხდარსა და სამომავლო გეგმებზე კობა გოგოლაძემ გუშინ გვესაუბრა

სადაც ტაისონი იქნევდა მუშტს...



კობა გოგოლაძე: მალე დავუბრუნდები რინგს

— თებერვლის შემდეგ რინგზე აღარ გასულხარ. რა ხდება?

— სხვა პრობლემების მოგვარებით ვიყავით დაკავებულნი. მენეჯერთან დაშორება მოგვიხდა და ახლახან მისი შემცვლელიც მოვძებნეთ.

— რატომ დასცილდით მაიკლს?

— ვერ მუშაობდა პატიოსნად. ეშმაკობა კი არ გაუვიდა და მშვიდობიანად გავეყარეთ.

— დიდხანს ეძებეთ შემცვლელი?

— არც ისე. ვარიანტები საკმაოდ გვქონდა. ყველამ იცის ჩვენი წარმატებები და წინადადებებიც წამოვიდა. არჩევანი იტალიელ დიკ პასკვინზე შევაჩერეთ.

— ბინაც შეიცვალეთ?

— ნიუ ჯერსიდან ფილადელფიაში სიარული აღარ გვიწევს. ფილადელფიაშივე დავბინავდით, თუმც დარბაზი მაინც გამოვიცვალეთ. ტაისონის მეგობრის დარბაზში ვვარჯიშობთ. სხვათა შორის, ადრე მაიკიც იქვე იქნევდა მუშტებს, მერე კი ძმაკაცს გადასცა საჩუქრად.

— ესე იგი, შეიძლება პირადადაც გაიცნოთ?

— აუცილებლად. რამდენიმე დღის წინაც შემოუვლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს არ ვვარჯიშობდით.

— ახალმა მენეჯერმა უკვე ბრძოლებიც დაგიგეგმათ?

— რინგზე 18 ივნისს სარეიტინგო ჩხუბით დავბრუნდები. რამდენიმეთვიანმა შესვენებამ კლასიფიკაციაში ორი საფეხურით უკან დამწია და ახლა მეშვიდე ვარ, თუმცა დაკარგულს მალევე აღვიდგენ. მექსიკელ ტომას ფერნანდესთან შეხვედრის შემდეგ ალბათ ინტერკონტინენტალის ქამრის დაცვა მომიწევს.

— ფალიანები და ხურციძე როდისღა იჩხუბებენ?

— „ჩაქუჩა“ მესამე სარეიტინგო ბრძოლას ჩემსავით 18 ივნისს ჩაატარებს, ძმები კი ივლისში დაბრუნდებიან.

ოთარ მალლაკელიძე

ამერიკაში ქართველი მოკრივეები თავიანთ მენეჯერ მაიკ [illegible] გაეყარნენ

ჟაკ როგმა მერიონ ჯონსს და ტიმ მონტგომერის სიტყვა-შეუნახავი ბიგ-ლიოლიკა

თავი დამანებეთ!

„მერიონ ჯონსი და ტიმ მონგტომერი მონაწილეობას მიიღებენ ათენის ოლიმპიურ თამაშებში, რადგანაც მათ წინააღმდეგ არავითარი სამხილი არ არსებობს“ — განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა.

ამ ავტორიტეტული დიდკაცის ნათქვამი იმას მოწმობს, რომ მსოფლიოს უსწრაფესი ცოლ-ქმარის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი საბოლოოდ ჩაცხრა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მერიონ ჯონსსა და ტიმ მონტგომერის აკრძალული პრეპარატების მიღებაში დასდეს ბრალი.

100 და 200 მეტრ დისტანციაზე სირბილში ოლიმპიური ჩემპიონი მერიონ ჯონსი მოწმის სტატუსით მონაწილეობდა ამერიკულ ლაბორატორია BALCO-ს წინააღმდეგ წარმართულ პროცესზე. ლაბორატორიას ბრალად ედებოდა მასტიმულერებელი პრეპარატების შემუშავება და დისტრიბუცია სპორტსმენთა შორის.

თვით მერიონ ჯონსმა მრავალი ტესტი გაიარა, მაგრამ ლაბორანტთა დიდი მცდელობის მიუხედავად, არც ერთ ანალიზს საეჭვო არაფერი გამოუვლენია. აშშ-ს ანტისადოპინგო სააგენტო მაინც აგრძელებდა გამოძიებას. ჯონსმა სააგენტოს ტესტების შედეგები მოსთხოვა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ძველი ტესტების შედეგები სააგენტოს არ გააჩნდა.

ჯონსის ადვოკატმა სიტუაციას აბსურდული უწოდა, რადგან გამოძიებას არავითარი საფუძველი და სამხილი არ აქვს, ხოლო მერიონის მიერ გავლილი ასობით ტესტი მის უდანაშაულობას ამტკიცებდა.



უბრალო გარ! მერიონ ჯონსს ჯერ ვერაფერი უპოვეს

დაახლოებით ასეთივე სიტუაცია შეიქნა ჯონსის ქმრის, 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდსმენის ტიმ მონტგომერის საქმეშიც, რომელსაც ასევე ვერაფერს უმტკიცებენ.

„ხომ უნდა გქონდეს რაიმე სამხილი იმისთვის, რომ ადამიანს ბრალი დასდო. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ჯონსი და მონტგომერი უდანაშაულონი არიან“ — აცხადებს ჟაკ როგი.

ლადო ფულუკიძე

ჰაილეს რეკორდს დამსობა შეეჰბედეს

კენენისა ბეკელე

ჰოლანდიის ქალაქ ჰენგელოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ორშაბათს ეთიოპიელმა სტაიერმა კენენისა ბეკელემ 5000 მეტრი 12 წუთსა და 37,35 წამში გაირბინა და 6 წლის წინ თავისი თანამემამულე ჰაილე გებრსელასიეს მიერ დამყარებული რეკორდი 2 წამით გააუმჯობესა.

გებრსელასიეს ღირსეული შემცვლელი გამოუშნდა, ბეკელემ ლეგენდარული თანამემამულე შარშან აგვისტოში პარიზში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 10000 მეტრ დისტანციაზე დაამარცხა და ჩემპიონობაც მოიპოვა.

„ჯერ არ გადამიწყვეტია, რა დისტანციაზე ვირბენ ოლიმპიურ თამაშებზე. მომავალ ტურნირებზე ნაჩვენები შედეგები დამეხმარება არჩევანის გაკეთებაში“ — აცხადებდა ეთიოპიელი წლის დამდეგს. ახლა, როცა ის უკვე მსოფლიო რეკორდსმენია, ალბათ გადაწყვეტილიც ექნება, ათენში რომელი დისტანციის ოქროს შეუტიოს.

NHL პლეი ოფი. ფინალი

ყვანჯები დაბლა!

31 მაისი

ტამპა 2:2 კალგარი

კალგარი 0:1 ტამპა

0:1 0:0 0:0

0:1 რიჩარდსი (3)

კალგარი: კიპრუსოფი; რეფ-ლეოპოლდი, ფერუსი-უორნერი, მონტადორი-კომოდორი; იგინლა-კონროი-ფულინა, დონოვანი-ნილსონი-ნიემინენი, საიმონი-იელიკლარკი, ოლივა-კობასიუ-საპრიკინი

ტამპა: ხაბიბულინი; სიდორი-კალიმორი, ბოილ-ლაკოვიჩი, სარიჩი-პრატი; ოფანასენკოვი-ლეკავალიე-სტილმანი, სან ლეურიჩარდსი-მოდინი, ტეილორი-ანდრეიჩუკი-რუა, კლაიმერი-ციბაკი-დინგმანი

თითქოს ტრადიციად იქცა, მთელი სეზონი ასეა — თუ ბრედ რიჩარდსი გამოირჩა, „ტამპა“ აუცილებლად იგებს. წინა მატჩში „ელვების“ ფორვარდი მეკარესთან პირისპირ რომ გავიდა, რომ გაეტანა, ახლა მისი გუნდი თასთან უფრო ახლოს იქნებოდა, მაგრამ... ეს ყველაფერი მაშინ მოხდა, როცა 0:0 იყო. რამდენიმე წამში კი გოლი „ტამპას“ კარში გავიდა.

ამჯერად ბრედმა შანსი აღარ გაუშვა ხელიდან და ამაში მეტოქეც დაეხმარა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რამ გადარია კალგარელი კრის კლარკი, მსაჯის სასტვენის შემდეგ ნოლან პრატს ყვანჯი რომ უთავაზა. მანამდე ხომ კიდევ ერთმა მასპინძელმა, მაიკ კომოდორმა დაარღვია წესები და ამის გამო „ტამპას“ ორკაციანი რიცხვმრავლობა ებოძა. ცხადია, ეს ზღაპრული საჩუქარი სტუმრებმა უმალ გამოიყენეს და დეივ ანდრეიჩუკის პასის შემდეგ რიჩარდსმა პირდაპირ ცხრიანში ჩაჭედა შაიბა. ეს მისი მეათე საპლეიოფო გოლი იყო და, როგორც შემდგომში გაირკვა, მეშვიდე გამარჯვების შაიბაც.

ეს ყველაფერი მესამე წუთზე მოხდა. წინ უამრავი დრო იყო, მაგრამ როგორც წინა მატჩებში, ასევე ახლაც პირველმა გოლმა მთლიანად განაპირობა თამაშის შემდგომი მსვლელობა.

ამრიგად, მეტოქეები ჯერჯერობით ფინალში რიგრიგობით იგებენ. მომდევნო თამაში კი 3 ივნისს ტამპაში გაიმართება.

„მე არასოდეს ვფიქრობ იმაზე, გამარჯვების გოლს გავიტან თუ არა. თუმც ვაღიარებ, ეს მნიშვნელოვანი შაიბა იყო, ვინაიდან „კალგარის“ რომ იმ მომენტში თავი ეხსნა, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა თამაში“ — თქვა მატჩის გმირმა რიჩარდსმა.

„ემოციებს არ უნდა ავყოლოდი და ყვანჯი დაბლა უნდა დამეჭირა, სხვა არაფერი. ვწუხვარ, რომ გუნდი ასე დავაღალატე“ — კრის კლარკმა დანაშაული აღიარა, მაგრამ ამით მის გუნდს რა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჩა და კალათბურთი

ამ უქმეებზე სპორტის სასახლის წინ ქუჩის კალათბურთის, იგივე სტრიტბოლის ქომაგნი შეკრებილიყვნენ. აქ არ იყვნენ მხოლოდ კალათბურთზე გაგიჟებული ბიჭები, რომლებიც ეზოს დაბრეცილ ფართან ატარებენ მთელ თავისუფალ დროს — სპორტის სასახლესთან კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები და ცნობილი მწვრთნელებიც მოვიდნენ. ღონისძიება მშვენივრად იყო ორგანიზებული და მისი თაოსანი გახლდათ მსოფლიოში ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია YMCA — ახალგაზრდობის ქრისტიანული ასოციაცია.

ეს სტრიტბოლის ტურნირი ტრადიციულია და უკვე მეექვსედ გაიმართა. შარშანდელი ღონისძიების მასპინძელი ბათუმი გახლდათ, სადაც აგვისტოში არაერთმა მოყვარულმა კალათბურთელმა იჯერა გული ბურთაობით. აჭარაში მომავალ აგვისტოშიც იგეგმება ანალოგიური ტურნირი, მანამდე კი, 29-30 მაისს სტრიტბოლი აგერ, საბურთალოზე გახურდა.

ტურნირში თბილისის სხვადასხვა უბნის 18 გუნდი მონაწილეობდა. ასევე იყვნენ ბიჭები თელავიდან და საქართველოში მომუშავე ამერიკელთა გუნდი (YMCA ამერიკული ორგანიზაციაა). დიდი აზარტით და ლამაზმანთა ოვაციების თანხლებით მიმდინარე ტურნირის ფინალში „ორიონი“ და „კაქტუსი“ გავიდნენ. დაძაბულ მატჩში კაკტუსელებმა იმარჯვეს და სწორედ მათ ერგოთ YMCA-ისგან ჩემპიონისთვის დათქმული 250 ლარი, ოქროს მედლები და სხვა რამე-რუმეები. „კაქტუსს“ მთავარი პრიზი კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გადასცა.

ტურნირის პარალელურად გაიმართა კონკურსები ჩატენვებსა და სამქულიან სროლებში. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა თამაზ ოქრუაშვილმა და მერაბ ცირეკიძემ დაავჯილდოვეს ფირმა „ყაზბეგისა“ და „ალიონის“ საჩუქრებით. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა კაქტუსელი გიორგი ზამბახიძე, რომელიც, ვგონებთ, არც ეროვნულ ჩემპიონატში შეირცხვენდა თავს.



თასი „კაქტუსს“ დარჩა


„იმპერიალში“ ბევრმა ცნობილმა სახემ მოიყარა თავი. აგერ ზაალ უდუმაშვილი

კაი კია და... ვა, იზრაელ?

შაბათ-კვირას გაერთიანება მასმედიის პრომოუშენმა „ჯამპმა“ და საბილიარდო კლუბმა „იმპერიალმა“ თბილისელი ჟურნალისტებისთვის ტურნირი მოაწყვეს. რუსულ ბილიარდსა და ამერიკულ პულში 60-მდე კალმოსანკამეროსანი ჩაერთო. პრიზებიც ისეთი იყო, ნერვიულობად რომ ღირდა. ჩემპიონებს სპონსორებმა ავტომობილ „ნივის“ განვადებით შეძენის უფლება დართეს, საწყისი შესატანი თანხა კი თავად დაფარეს. გამარჯვებულთაგან უფრო იღბლიანი ისრაელში უფასო მგზავრობასაც გამოჰკრავდა ხელს.

ორდღიანი დაძაბული შეხვედრების მერე რუსულში გიორგი ლაზარიაშვილმა („მზე“) იმარჯვა. პულში კი მიშა უნაძემ („არგუმენტი ი ფაქტი“). მასვე ერგო ისრაელის ბილეთიც, რომელიც ჩემპიონებისთვის ხურდის აგდებით გათამაშდა.

7 ივნისს „იმპერიალი“ ერთ ტურნირსაც უმასპინძლებს. ამერიკულ პულში ძალის მოსინჯვა ნებისმიერ მოყვარულს შეეძლება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ზაზა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge